

გურამ იმნაძე

ხელი

სისხლის  
სამართლის  
საკროცესო  
კოდექსის  
მიღებთან

ქირითადი მიზნები და  
არსებული გამოწვევები



ქვე  
საზოგადოების  
ფონდი



**სისხლის  
სამართლის  
საკროცესო  
კოდექსის  
მიღებიდან**

**ძირითადი მიზნები და  
არსებული გამოწვევები**



გამოცემულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის მიერ კვლევაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

# სარჩევი

<b>შესავალი</b> . . . . .	4
<b>შეჭიბრებითი vs. ინკვიზიციური საპროცესო მოდელი</b> . . . . .	9
<b>ძირითადი გამოწვევები</b> . . . . .	13
<b>1. მტკიცებულებები.</b> . . . . .	13
1.1. მონმის დაკითხვა . . . . .	15
1.2. ირიბი ჩვენება . . . . .	22
1.3. ჩხრეკა. . . . .	27
1.4. ფარული საგამოძიებო მოქმედებები . . . . .	29
1.5. კომპიუტერულ სისტემაში არსებული მონაცემები . . . . .	35
<b>2. საქმის გამოძიება და პროცესის მონაწილეები</b> . . . . .	38
2.1. გამოძიების დაწყება . . . . .	38
2.2. გამოძიების პროცესი და მისი მონაწილეები . . . . .	41
2.3. ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიება . . . . .	44
<b>3. პატიმრობის და ბრალდებულად ყოფნის         9 თვიანი ვადები</b> . . . . .	46
3.1. პატიმრობა . . . . .	46
3.2. პირის ბრალდებულად ყოფნის ვადა . . . . .	51
4. მოსამართლის როლი და ნაფიცი მსაჯულები . . . . .	53
<b>შეჯამება</b> . . . . .	59

## შესავალი

სისხლის სამართლის სფეროში განხორციელებულ ცვლილებებს შორის, 2005-2009 წლებში მიმდინარე საპროცესო კოდექსის რეფორმა თამამად შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და მნიშვნელოვან ეტაპად ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისთვის. დაახლოებით ხუთწლიან სამუშაო პერიოდში, საპროცესო კოდექსის პროექტის რამდენიმე ვერსია შემუშავდა და, საბოლოოდ, 2009 წლის 9 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებას, რომლის ძირითადი ნაწილიც 2010 წლის პირველი ოქტომბრიდან ამოქმედდა.

აღნიშნული რეფორმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. შემუშავებული კოდექსის მიზნად გაცხადებული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ახალი სისტემის შექმნა, მხარეთა თანასწორობის, მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევის, ბრალდებულის უფლებათა პატივისცემის და სხვა პროგრესული პრინციპების გატარება ყოველდღიურ მართლმსაჯულებაში.<sup>1</sup>

კოდექსით რადიკალურად იცვლებოდა ქართული სისხლის სამართალწარმოების ბუნება და შინაარსი. 2009 წლის საპროცესო კოდექსის უმთავრესი სიახლე შევიბრებიითი საპროცესო მოდელის

---

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტი N07-2/218/6, განამრტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/110622> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

დანერგვა იყო, რომლითაც ჩანაცვლდა მანამდე არსებული ინკვიზიციური სამართალწარმოება. ახალი საპროცესო მოდელი რადიკალურად ცვლიდა პროცესის მონაწილეების სტატუსსა და უფლებამოსილებებს როგორც გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, აგრეთვე ახლებურად განისაზღვრა გამოძიების ჩატარების და საქმის სასამართლოში განხილვის წესები.

2009 წლის კოდექსით ბრალდების მხარეებად განისაზღვრნენ გამოძიებელი და პროკურორი, რომლებსაც სრულყოფილად და ობიექტურად უნდა გამოეძიებინათ საქმე და სასამართლოსთვის წარედგინათ ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები. დაცვის მხარის სტატუსი კი ბრალდებულს და მის ადვოკატს მიენიჭა და საპროცესო კოდექსის ზოგადი ლოგიკის თანახმად, ორივე მხარს მიახლოებით იდენტური სამართლებრივი ბერკეტები უნდა ჰქონოდა, რათა დამოუკიდებლად ეწარმოებინათ ალტერნატიული გამოძიება, მოეპოვებინათ მათთვის სასარგებლო ინფორმაცია და ეჭვქვეშ დაეყენებინა მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების სანდოობა.

ახალმა საპროცესო კოდექსმა მნიშვნელოვნად შეცვალა მოსამართლის როლი სამართალწარმოების პროცესში. კერძოდ, საქმის განმხილველ მოსამართლეს ნეიტრალური არბიტრის სტატუსი მიენიჭა და შემცირდა გამოძიების პროცესში მისი ჩარევის შესაძლებლობები. ფაქტობრივად, მოსამართლე მოგვევლინა მხარეთა პასიურ მაკონტროლებლად და მის წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებების შემფასებლად. ამ კონტექსტში, ასევე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნოვაცია - ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. საპროცესო კოდექსის ზოგადი სულისკვეთება იყო, რომ სისხლის სამართლის საქმეები დაქვემდებარებოდა ნაფიც მსაჯულთა კოლეგიას და საქმე მოსამართლეს განეხილა მხოლოდ მხარეთა ერთობლივი შუამდგომლობის საფუძველზე. ამ გზით უნ-

და გაზრდილიყო რიგითი მოქალაქეების მონაწილეობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში, რაც, საბოლოოდ, სასამართლო სისტემისადმი ნდობის გარანტიც უნდა გამხდარიყო.<sup>2</sup>

ამ კონტექსტში, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნოვაცია იყო ე.წ. უშუალობის პრინციპის დანერგვა, რაც გულისხმობს იმას, რომ სასამართლო/ნაფიცი მსაჯულები საბოლოო გადაწყვეტილებას უნდა მიეღოთ მხოლოდ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მათ მიერ უშუალოდ გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე. შესაბამისად, მოპოვებული ინფორმაციის სანდოობისა და უტყუარობის საკითხი მთლიანად უნდა შეფასებულიყო ორივე მხარის მონაწილეობით, ზეპირად ჩატარებულ სასამართლო გამოძიების ფარგლებში, საქმის არსებით სხდომაზე. ამ კუთხით, მანამდე მოქმედი საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა ცალმხრივად და არაგამჭვირვალედ მოპოვებული მტკიცებულებების წერილობით გაფორმებას წინასასამართლო სხდომაზე.

საპროცესო კოდექსის კიდევ ერთ ნოვაციას წარმოადგენდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის არსებითი გარდაქმნა ჩვეულებრივ საგამოძიებო მოქმედებებად და მათზე საერთო საპროცესო სტანდარტების გავრცელება. აღნიშნულის მიზანი იყო, რომ სათანადო კონტროლს და ზედამხედველობას დაქვემდებარებოდა ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ინვევდა მოქალაქეთა უფლებებში განსაკუთრებული ინტენსივობით ჩარევას. აგრეთვე, შეიცვალა მონწილის დაკითხვის წესი და გაუქმდა გამოძიების ეტაპზე ჩვენების მიცემის სავალდებულობა. აღნიშნულის მიზანი ერთი მხრივ მოქალაქეთა (მონწილების) უფლებების უფრო მაღალი სტანდარტით დაცვა იყო, მეორე მხრივ კი, მონწილის მხოლოდ სასამართლოში და-

---

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტი N07-2/218/6, განამრტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/110622> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

კითხვის წესით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა უშუალობის პრინციპის რეალური აღსრულებისკენ.

როგორც უკვე ითქვა, ახალი საპროცესო კოდექსის შემუშავება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეფორმას წარმოადგენდა ბოლო ათწლეულების ქართული სისხლის მართლმსაჯულებისათვის, რადგან 2009 წლის საპროცესო კოდექსი მიზნად ისახავდა არსებითად ახალი პროცესუალური სტანდარტების და, ზოგადად, იურიდიული აზროვნების კულტურის დანერგვას.

სამწუხაროდ, საპროცესო კოდექსის მიღებიდან 10 წლის თავზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დოკუმენტი ამ დრომდე სრულყოფილად არ ამოქმედებულა. ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულება კვლავაც რჩება ბუნდოვანი ტრანსფორმაციის ეტაპზე. საპროცესო კოდექსის ისეთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი, როგორცაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ამ დრომდე სრულყოფილად არ ამოქმედებულა და მისი იურისდიქცია უკიდურესად ფრაგმენტულია. შესაბამისად, შეუძლებელია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეფექტებზე ვისაუბროთ და ვთქვათ, რომ აღნიშნულმა ინსტიტუტმა მოახერხა, ან ვერ მოახერხა მოქალაქეების და მართლმსაჯულების სისტემის ერთმანეთთან დაახლოება.

ახალი კოდექსით დანერგილი შეჯიბრებითი მოდელისთვის კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა მხარეთა თანასწორობას მტკიცებულებების მოპოვების ნაწილში. თუმცა, ამ კუთხითაც დღემდე მორღვეულია სწორი ბალანსი და დაცვის მხარეს კვლავაც მნიშვნელოვანი ბარიერები აქვს საქმის დამოუკიდებლად და სრულყოფილად წარმოების კუთხით, რადგან შეზღუდული აქვს რიგი მნიშვნელოვანი საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობა. აგრეთვე, უგულვებელყოფილია უშუალობის პრინციპი, რადგან უკანასკნელ წლებში, მონძის დაკითხვის წესში შეტანილი ცვლილებებით, შესაძლებელი გახდა პირის იძულებით დაკითხვა მაგისტრატ მოსა-



მართლესთან მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ იგი ფლობს საქმის-  
თვის მნიშვნელოვან ინფორმაციას და უარს აცხადებს გამომძიებ-  
ლისთვის ნებაყოფლობით ჩვენების მიცემაზე.

წარმოდგენილ დოკუმენტში მიმოხილულია ის ძირითადი საკით-  
ხები, რაც კოდექსის მიღებიდან დღემდე, წარმოადგენდა საზო-  
გადოებრივი და პროფესიული დისკუსიების საგანს. დოკუმენტი  
მიზნად არ ისახავს საპროცესო კოდექსთან დაკავშირებული დე-  
ბატების, ან კოდექსში განხორციელებული ცვლილებების სრულ-  
ყოფილ ანალიზს. არამედ შერჩეულია მხოლოდ ისეთი ფუნდა-  
მენტური საკითხები, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავს ჩვენი  
საპროცესო კანონმდებლობის ბუნებას, მის თანმიმდევრულობას  
და შესაბამისობას შეჯიბრებითი მართლმსაჯულების მოდელთან.

დოკუმენტი იწყება შეჯიბრებითი და ინკვიზიციური მოდელების  
მოკლე ურთიერთშედარებით. შემდგომ ქვეთავებში კი, გაანალი-  
ზებულია საპროცესო კოდექსში არსებული ძირითადი გამონწვევ-  
ები. კერძოდ, მტკიცებულებათა მოპოვებისა და მათი გამოკვლე-  
ვის კუთხით არსებული ვითარება, საქმის გამომძიების პროცესი და  
მასში მონაწილე სუბიექტების ურთიერთმიმართება, პროკურორის  
და გამომძიებლის სუბორდინაციის საკითხი; აგრეთვე საპროცესო  
კოდექსით განსაზღვრული ვადები; ბოლოს კი, მიმოხილულია მო-  
სამართლის როლი სისხლის სამართალწარმოების პროცესში და  
ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

## შეჯიბრებითი vs. ინკვიზიციური საპროცესო მოდელი

აღნიშნული ქვეთავის მიზანი არ არის შეჯიბრებითი და ინკვიზიციური საპროცესო მოდელების კრიტიკული ანალიზი, ან იმის შეფასება, ქართულ კონტექსტსა და კულტურულ (მათ შორის, სამართლებრივ) რეალობას რომელი უფრო მეტად შეესაბამება. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, მოკლედ აღინიშნოს იმ თეორიულ მსგავსებებსა და განსხვავებებზე, რაც ამ ორ მოდელს შორის არსებობს: შეჯიბრებითი მოდელის მახასიათებლად ხშირად მიუთითებენ, რომ ის ძირითადად ორიენტირებულია მტკიცებულებაზე (მტკიცების ტვირთზე) და არა სიმართლის დადგენაზე. ამის საპირისპიროდ, კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახისთვის, რომელიც უფრო მეტად ინკვიზიციურ მოდელს ეყრდნობა, „სიმართლის“ დადგენა სამართალწარმოების უმთავრეს მიზნად არის მიჩნეული.<sup>3</sup> სწორედ ეს ფუნდამენტური განსხვავება განაპირობებს პროცესის თითოეული მონაწილის უფლებამოსილებებს და მათი ჩართულობის ინტენსივობას საქმის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე.

„მტკიცებულება“ და „სიმართლე“ ბოგიერთ შემთხვევაში შეიძ-

---

3. A. Sanders and R. Young, "From Suspect to Trial", in *The Oxford Handbook of Criminology*, 2012 (5th Edd. Mike Maguire, Rod Morgan, Robert Reiner), p. 838.

ლება იდენტური შინაარსის მატარებელი იყოს, თუმცა ყოველთვის ასე არ არის. მათ შორის განსხვავებების უკეთ გასაგებად, გასული საუკუნის მეორე ნახევარში განვითარდა „ჯეროვანი მართლმსაჯულების“ (due process) და „დანაშაულის კონტროლის“ (crime control) მოდელები, რომლებიც აღწერენ შეჯიბრებითი და ინკვიზიციური პროცესების ძირითად არსს და შესაბამისად, მტკიცებულების და სიმართლის როლს თითოეულის ფარგლებში.<sup>4</sup> „ჯეროვანი მართლმსაჯულების“ მოდელი უპირატესობას ანიჭებს ინდივიდის სამოქალაქო უფლებებს და შესაბამისად, იმგვარ საკანონმდებლო ბაზას ქმნის, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს უდანაშაულო პირების მიმართ გამამართლებელი განაჩენების გამოტანას, თუნდაც ამ პროცესში არსებობდეს რისკი, რომ ასეთი განაჩენი დადგეს პირის მიმართაც, რომელმაც რეალურად დანაშაული ჩაიდინა. „დანაშაულის კონტროლის“ მოდელში კი პრიორიტეტული დამნაშავის დასჯაა, რა დროსაც არსებობს მცირედი რისკი, რომ მოხდეს უდანაშაულო პირის მსჯავრდება.<sup>5</sup>

„ჯეროვანი მართლმსაჯულების“ მოდელში მკაცრად კონტროლდება სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებები და ამის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება დაცვის მხარის აქტიური როლია. სწორედ აქ შემოდის შეჯიბრებითობის ელემენტი და ბრალდებულის უფლებამოსილება, დამოუკიდებლად მოიპოვოს მისი უდანაშაულობის დამადასტურებელი, ან ბრალდების მხარის პოზიციის გამაქარწყლებელი მტკიცებულებები. ამავდროულად, მხარეთა მეტ-ნაკლები თანასწორობის პირობებში, მოსამართლე იკავებს ნეიტრალური არბიტრის პოზიციას, რა დროსაც იგი საქმის გამოძიების მსვლელობაზე აქტიურ გავლენას არ ახდენს და გადაწყვეტილებას

4. H. Packer, *The Limits of the Criminal Sanction*, (Stanford, Cal.: Stanford University Press), 1968.

5. A. Sanders and R. Young, "From Suspect to Trial", in *The Oxford Handbook of Criminology*, 2012 (5th Edd. Mike Maguire, Rod Morgan, Robert Reiner), p. 839.

იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით იღებს, რომლებიც მის წინაშე წარადგინეს მხარეებმა.

„ჯეროვანი მართლმსაჯულების“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია მტკიცებულებათა სტანდარტი. კერძოდ, საქმის მსვლელობის ყოველი მომდევნო ეტაპი პროკურატურას ავალდებულებს, უფრო მაღალი მტკიცებულებითი სტანდარტით ასაბუთოს პირის დამნაშავეობა. შეჯიბრებითი პროცესის პირობებში, არ არის აუცილებელი, მხარეთა მტკიცებულებებს ჰქონდეს აბსოლუტური ხასიათი და პროკურატურას მხოლოდ გონივრულ ეჭვს მიღმა (beyond reasonable doubt) სტანდარტით ევალება პირის ბრალეულობის დასაბუთება. შესაბამისად, ბოლომდე ვერც აღნიშნული მოდელი ვერ გამორიცხავს უდანაშაულო პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის რისკს.

როგორც აღინიშნა, შეჯიბრებითი მოდელის ერთ-ერთ უმთავრეს ნაკლად იმას მიიჩნევენ, რომ ის სიმართლის დადგენას არ ისახავს მიზნად და მხოლოდ მტკიცებულებებზე აკეთებს აქცენტს. ასეთი მსჯელობა ბოლომდე სამართლიანი არაა, რადგან ინკვიზიციური მოდელისგან შეჯიბრებითი საპროცესო მოდელი მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ იგი სიმართლის ძიების განსხვავებულ, მხარეთა შეჯიბრებითობაზე დაფუძნებულ წესს გვთავაზობს. რომელი მოდელის ფარგლებში უფრო უკეთ არის საბოლოო სიმართლის დადგენა შესაძლებელი, ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, თუმცა ორივე მოდელს აქვს თავისი უპირატესობებიც და ნაკლოვანებებიც. მაგალითად, შეჯიბრებით მოდელს სამართლიანად აკრიტიკებენ არასაკმარისი გამჭვირვალობის გამო, რადგან მხარეები მხოლოდ მათთვის სასარგებლო მტკიცებულებებს მოიპოვებენ, რამაც შესაძლოა სასამართლოს წინაშე არასწორად წარმოაჩინოს საქმის დეტალები. სამაგიეროდ, ინკვიზიციური მოდელის პირობებში, მიკერძოებული მართლმსაჯულების განხორციელების მეტი რისკია,

რადგან ზედმეტად მეტი ნდობა აქვთ მინიჭებული გამოძიებლებს/პროკურორებს.<sup>6</sup>

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო რთული ხდება მკაფიო ზღვრის გავლება შეჯიბრებით და ინკვიზიციურ მოდელებს შორის. პირველ რიგში, ეს იმით აიხსნება, რომ სახელმწიფოები უფრო აქტიურად ცდილობენ იმგვარი ელემენტების დანერგვას ეროვნულ კანონმდებლობაში, რაც სხვა მოდელისთვის არის დამახასიათებელი. ამ მხრივ, გამონაკლისი არც საქართველოა და ჩვენს საპროცესო კანონმდებლობაშიც გვხვდება ინკვიზიციური საპროცესო მოდელისთვის დამახასიათებელი ელემენტები. მაგალითად, დაცვის მხარის მიერ ზოგიერთი საგამოძიებო ღონისძიების ჩატარება პირდაპირ არის დამოკიდებული ბრალდების მხარეზე. ამავდროულად, უკანასკნელ წლებში სასამართლოს მიენიჭა უფლებამოსილება, კონკრეტულ შემთხვევებში იმსჯელოს პირის დაზარალებულად ცნობის, ან დანაშაულის შემთხვევებზე გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკითხებზე, რაც ასევე წარმოადგენს ინკვიზიციური მოდელისთვის დამახასიათებელ ელემენტებს. კიდევ უფრო რთულია რომელიმე მოდელისთვის ცალსახა უპირატესობის მინიჭება და ძალიან ბევრ ფაქტორზე დამოკიდებული, კონკრეტულ კონტექსტში, რა მოდელი უკეთ მოემსახურება სამართლიანი მართლსაჯულების ინტერესებს. საქართველოს შემთხვევაში ერთი რამ ფაქტია, 10 წლის წინ არჩევანი ცალსახად გაკეთდა შეჯიბრებითი მოდელის სასარგებლოდ.

6. J. Hodgson, "The French Prosecutor in Question", Washington and Lee Law Journal, 2010 (67,4), p. 1361.

# ძირითადი გამოწვევები

## 1. მტკიცებულებები

ახალი საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება მტკიცებულებების საკითხი იყო. საპროცესო კოდექსის კანონპროექტის განმარტებით ბარათში<sup>7</sup> ამ საკითხს საკმაოდ ვრცელი ადგილი ეთმობოდა, კერძოდ, ახალი რეგულაციების შემოღების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მტკიცებულებების უშუალოდ (სასამართლოში) გამოკვლევის პრინციპის დანერგვა იყო. მიუხედავად ამისა, მათ შორის, მტკიცებულებებია ის კრიტიკული საკითხი, რომელზეც წლების განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა დისკუსია. თუმცა, დღემდე, ამ მიმართულებით არაერთი სერიოზული გამოწვევა არსებობს.

მოქმედი საპროცესო კოდექსის თანახმად,<sup>8</sup> მტკიცებულება არის „კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს

7. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტი N07-2/218/6, განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/110622> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

8. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილი.

ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას...“

ზემოაღნიშნული განმარტება ცალსახად ხაზს უსვამს უშუალოდ პრინციპს. კანონი აქცენტს აკეთებს ინფორმაციის სასამართლოში წარდგენაზე, სადაც მხარეები შეჯიბრებით რეჟიმში, უშუალოდ მოსამართლის/ნაფიცი მსაჯულების წინაშე წარადგენენ და აფასებენ ინფორმაციას. სწორედ ამ გზით (სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების მეშვეობით) ბრალდებისა და დაცვის მხარეები ცდილობენ, მათთვის სასარგებლო ვერსიების განვითარებას და პოზიციების დამტკიცებას.

ინფორმაციის მტკიცებულებად ქცევისათვის, აუცილებელი წინაპირობაა, რომ ის „კანონით დადგენილი წესით“ იყოს მოპოვებული. ამ შემთხვევაში, შეუძლებელია ცალსახად იმის თქმა, კანონში იგულისხმება მხოლოდ საპროცესო კოდექსი, თუ სხვა ნორმატიული აქტებიც (მაგალითად, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი). კანონისმიერი განმარტებიდან აგრეთვე არაა ნათელი, წარმოადგენს თუ არა მტკიცებულებას სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტი, მათ შორის, მოსამართლის განჩინებები, საგამოძიებო მოქმედებებზე შედგენილი ოქმები, პროკურორის დადგენილებები და სხვ.<sup>9</sup> აღნიშნული დოკუმენტები, როგორც წესი, ემსახურებიან საგამოძიებო მოქმედებების აღწერას, ან გამოხატავენ მხარეთა პოზიციებს კონკრეტულ გარემოებაზე.

9. საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, „მტკიცებულებებთან დაკავშირებული პრობლემები სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის კუთხით“, 2018. გვ. 6.

ამ საკითხის ბუნდოვნად დატოვება პრობლემურია, რადგან მკაფიო არაა, როგორ უნდა გადაწყდეს ამგვარი დოკუმენტების სასამართლოში დასაშვებობა, ან რამდენად შეიძლება შექმნან ასეთმა დოკუმენტებმა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელსაც შეიძლება დაემყაროს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება. ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკაც არაერთგვაროვანია და 2016 წელს განხორციელებულმა კვლევამ<sup>10</sup> აჩვენა, რომ მოსამართლეები ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავ გადაწყვეტილებებს იღებენ პროცესუალურ დოკუმენტებთან დაკავშირებით. აღნიშნული კი, მნიშვნელოვნად აბრკოლებს მხარეთა უფლებების სრულყოფილ რეალიზებას. განსაკუთრებით პრობლემურია ბრალდების დადგენილების მტკიცებულებად მიჩნევა, რადგან ამით შესაძლოა ბრალდებულს დაეკისროს მისი უდანაშაულობის მტკიცების ტვირთი.<sup>11</sup>

### 1.1. მონმის დაკითხვა

სისხლის სამართლის პროცესში, მონმის ჩვენება ერთ-ერთ უმთავრეს მტკიცებულებას წარმოადგენს და აღნიშნული საკითხის სწორად მონესრიგებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სამართლიანი და ობიექტური მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად. როგორც აღინიშნა, მოქმედი საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ ნოვაციას სწორედ მონმის დაკითხვის ძველი წესის გაუქმება წარმოადგენდა, რომლითაც სამართალდამცავებს შეეძლოთ, გამოძიების ეტაპზე, სავალდებულო წესით დაეკითხათ მონმეები საგამოძიებო ორგა-

10. ჩომახაშვილი და სხვები, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, 2016, გვ. 155. ხელმისაწვდომია: [https://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged\\_document\\_2.pdf](https://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged_document_2.pdf) [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

11. აღნიშნულ საკითხზე აგრეთვე იხილეთ ეუთოს სასამართლო პროცესის მონიტორინგის 2014 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true> [წვდომის თარიღი: 03.12.2019].



ნობეში. 2009 წლის საპროცესო კოდექსის განმარტებით ბარათში აღნიშნული გადაწყვეტილება ახსნილი იყო „სასამართლო გამოძიების პრიორიტეტისა და შევიბრებითობის“ პრინციპის დანერგვით.<sup>12</sup> ამავდროულად, გამოძიების ეტაპზე ჩვენების მიცემის სავალდებულო წესის გაუქმება და ნებაყოფლობითობის შემოღება წარმოჩენილი იყო როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი, პირის (მონმის) უფლებების ხელყოფისგან დაცვისათვის.

2009 წლის საპროცესო კოდექსი ადგენდა, რომ მონმის მიერ ჩვენების მიცემა მხოლოდ საქმის განმხილველი სასამართლოს წინაშე არის სავალდებულო.<sup>13</sup> აღნიშნული ზოგადი წესიდან კანონმდებლობა მხოლოდ ოთხ გამონაკლისს ითვალისწინებდა, როდესაც შესაძლებელი იყო მონმის სავალდებულო წესით დაკითხვა გამოძიების ეტაპზე, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე:

- ა) თუკი არსებობს მონმის სიცოცხლის მოსპობის, ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რაც ხელს შეუშლის მის დაკითხვას საქმის არსებითი განხილვისას;
- ბ) თუკი მონმე დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას;
- გ) თუკი სხვა გონივრული ძალისხმევის მიუხედავად, საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვისთვის აუცილებელი მტკიცებულებების სხვა წყაროებიდან მოპოვება შეუძლებელია;
- დ) თუკი ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, აღნიშნული წესების ამოქმედება რამდენჯერმე გადავადდა საპროცესო კოდექსის გარდამავალი დებულებებით, მათ

12. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტი N07-2/218/6, განმარტებითი ბარათი.

13. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლი.

ნაცვლად კი - 1998 წლის კოდექსით გათვალისწინებული წესი ნარჩუნდებოდა,<sup>14</sup> რომელიც ბრალდების მხარეს აძლევდა მოწმის სავალდებულო წესით დაკითხვის უფლებას გამოძიების ეტაპზე, მოსამართლის მონაწილეობის გარეშე. შესაბამისად, მოწმის სასამართლოს წინაშე დაკითხვა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ამ პირობებში, სრულიად უგულვებელყოფილი იყო მტკიცებულების (ამ შემთხვევაში, მოწმის ჩვენების) უშუალოდ სასამართლოს წინაშე გამოკვლევის პრინციპი. ახალი წესების გადავადების მიზეზად, საგამოძიებო უწყებების მოუზმადებლობა და შესაბამისად, დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლისთვის წარმოქმნილი რისკები სახელდებოდა ხოლმე.<sup>15</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ 2013 წლის 18 იანვრის საკანონმდებლო ცვლილებით,<sup>16</sup> მოწმის ახალი წესების ამოქმედების ვადა პირიქით გადმოვადდა 2013 წლის პირველი დეკემბრიდან, პირველ სექტემბრამდე. აღნიშნული ცვლილებით ხელისუფლება აფიქსირებდა სურვილს, რომ უფრო მალე ამოქმედებულიყო მოწმის დაკითხვის დემოკრატიული და სამართლიანი წესები. სამწუხაროდ, 2013 წლის 1 სექტემბრამდე რამდენიმე თვით ადრე, კერძოდ კი 24 ივლისს, პარლამენტმა მორიგ ჯერზე შეცვალა მისი დამოკიდებულება ამ საკითხზე და კიდევ ერთხელ გადადო მოწმის დაკითხვის ახალი წესების ამოქმედება.<sup>17</sup>

- 
14. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლი.
  15. Council of Europe (2014). Report by Nils Muižnieks, Commissioner for Human Rights of the Council of Europe, Following his Visit to Georgia, from 20 to 25 January 2014. Strasbourg, Council of Europe., pp.8-9. Available at: <https://rm.coe.int/16806db81a> [accessed 04.12.2019].
  16. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ 2013 წლის 18 იანვრის კანონი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1823746?publication=0#DOCUMENT:1>; [წვდომის თარიღი: 13.11.2019].
  17. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ 2013 წლის 24 ივლისის კანონი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1976108?publication=0#DOCUMENT:1>; [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

2015 წელს, ხანგრძლივი სამუშაო პროცესის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა, ჯერ არამოქმედებულ დაკითხვის წესში ცვლილებები შეიტანა, რომლითაც ბრალდების მხარეს მიენიჭა უფლებამოსილება, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე იძულებით დაეკითხა მოწმე, თუკი იარსებებდა ფაქტი, ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა, რომ აღნიშნული პირი ფლობს სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, და ეს პირი ნებაყოფლობით გამოკითხვაზე უარს აცხადებს.<sup>18</sup> ამდენად, თუკი მანამდე არსებული ზოგადი წესის თანახმად, მოწმე უნდა დაკითხულიყო მხოლოდ სასამართლოს წინაშე და გამონაკლისის წესით, კონკრეტული გარემოებების არსებობისას, ორივე მხარეს შეეძლო პირის დაკითხვა მაგისტრატ მოსამართლესთან, 2015 წლის ცვლილებების შედეგად, ბრალდების მხარეს მიენიჭა უფლებამოსილება, ფაქტობრივად ნებისმიერ შემთხვევაში დაეკითხა იძულების წესით პირი მაგისტრატ მოსამართლესთან. ამავდროულად, ასეთი წესით მოწმის დაკითხვას ვერ ესწრება დაცვის მხარე და პირისგან ჩვენების მიღება ცალმხრივ რეჟიმში მიმდინარეობს. გარდა ამისა, 2015 წლის ცვლილებებით, კოდექსის გარდამავალ დებულებაში გაკეთდა ჩანაწერი, რომ აღნიშნული წესი ყველა ტიპის დანაშაულზე ერთდროულად არ ამოქმედდებოდა და მათ ძალაში შესვლამდე, მოწმის დაკითხვა გაგრძელდებოდა 1998 წლის კოდექსით განსაზღვრული წესებით, რაც გულისხმობს პირის სავალდებულო წესით დაკითხვას გამოძიების ეტაპზე, სამართალდამცავ ორგანოებში.<sup>19</sup>

18. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ 2015 წლის 18 დეკემბრის კანონი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3108887?publication=0#DOCUMENT:1> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

19. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის 1-4 ნაწილები (2018 წლის 14 დეკემბრამდე არსებული რედაქცია).

აღნიშნული ცვლილებები მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება შეზიარებულობის პრინციპს, რადგან გაუმართლებლად არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მხარეებს მტკიცებულებების მოპოვება/გამოკვლევისას. აგრეთვე, უგულებელყოფილია უშუალოდ პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ყველა მტკიცებულების პირველადი გამოკვლევა საქმეზე საბოლოო გადანაცვტილების მიმღები მოსამართლის/ნაფიცი მსაჯულების წინაშე უნდა მოხდეს.

მოგვიანებით, მონმის დაკითხვის წესში შეტანილი ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდა იმ არგუმენტით, რომ ისინი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციით გარანტირებულ თანასწორობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებებს.<sup>20</sup> აღნიშნულ საკითხზე, საკონსტიტუციო სასამართლომ პირველი გადანაცვტილება 2018 წელს მიიღო<sup>21</sup> და არაკონსტიტუციურად ცნო საპროცესო კოდექსის გარდამავალი დებულებების, კერძოდ კი 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სხვადასხვა დანაშაულში ბრალდებულ პირებს განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს სთავაზობდა მონმეების დაკითხვისას. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ პრობლემურად მიიჩნია ის გარემოება, რომ გამოძიების ეტაპზე მონმის დაკითხვის უფლება არ ეძლეოდა ყველა ტიპის დანაშაულში ბრალდებულ პირებს თანაბრად<sup>22</sup> და სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა თანასწორობის უფლებას (კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მე-14 მუხლი).

20. კონსტიტუციური სარჩელები ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://constcourt.ge/ge/ajax/downloadFile/3063>; <http://constcourt.ge/ge/ajax/downloadFile/3064> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

21. საკონსტიტუციო სასამართლოს გადანაცვტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ N2/13/1234,1235, ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/2-13-1234-1235-saqartvelos-moqalaeqebi-roin-miqeladze-da-giorgi-burdjanadze-saqartvelos-parlamentis-winaaqmdeg1.page> [წვდომის თარიღი: 13.11.2019]

22. იხ. N2/13/1234,1235 გადანაცვტილების 39-43-ე პარაგრაფები.

იმავე გადაწყვეტილებაში, სასამართლომ იმსჯელა 1998 წლის საპროცესო კოდექსით დადგენილ წესებზე და პრობლემურად მიიჩნია ის გარემოება, რომ ძველი კოდექსი გამოძიების ეტაპზე დაცვის მხარეს არ აძლევდა საკუთარი მონმეების იგივე წესებით დაკითხვის შესაძლებლობას, როგორც სარგებლობდა ბრალდების მხარე. გამოძიების ეტაპზე დაცვისა და ბრალდების მხარეები მნიშვნელოვნად განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს ექვემდებარებოდნენ, რა დროსაც დაცვის მხარეს არ ჰქონდა შესაძლებლობა, (ბრალდების მხარისგან განსხვავებით) გამოძიების ეტაპზევე მოეპოვებინა მონმის ჩვენება და შეეფასებინა მისი მტკიცებულებითი ღირებულება, რაც მას მისცემდა არსებითი სხდომისათვის უკეთ მომზადების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა,<sup>23</sup> რომელიც სხვა ასპექტებთან ერთად, მოიცავს ბრალდებულის უფლებას, მოითხოვოს თავისი მონმეების გამოძახება და დაკითხვა ისეთსავე პირობებში, როგორც აქვთ ბრალდების მონმეებს.<sup>24</sup>

შეჯამებისთვის, 2018 წლის გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა 2009 წლის საპროცესო კოდექსის გარდამავალი დებულებების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სხვადასხვა ტიპის დანაშაულებზე განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს აწესებდა მონმის დაკითხვისთვის. გარდამავალი დებულებები, აგრეთვე, აწესებდა ვადას, რომლის დადგომამდეც მოქმედების ძალას ინარჩუნებდა 1998 წლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მონმის დაკითხვის წესები და საკონსტიტუციო სასამართლომ ეს უკანასკნელიც არაკონსტიტუციურად მიიჩნია.

23. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე არსებული რედაქციის 42-ე მუხლის მე-6 მუხლი.

24. იხ. N2/13/1234,1235 გადაწყვეტილების 119-ე პარაგრაფი.

2019 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით,<sup>25</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ახალი საპროცესო კოდექსის ნორმებზე იმსჯელა. საუბარია მოქმედი საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომელიც ფაქტობრივად შეუზღუდავ შესაძლებლობას იძლეოდა, ნებისმიერი მონმე დაკითხულიყო მაგისტრატ მოსამართლესთან მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ის ფლობდა საქმისთვის რელევანტურ ინფორმაციას, მაგრამ უარს აცხადებდა ნებაყოფლობით გამოკითხვაში მონაწილეობაზე. სადავო ნორმა მონმის იძულებით დაკითხვის უფლებამოსილებას მხოლოდ ბრალდების მხარისთვის ითვალისწინებდა და საკონსტიტუციო სასამართლომ სწორედ აღნიშნული მოტივით ცნო იგი არაკონსტიტუციურად. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტს გარკვეული ვადა მისცა ახალი რეგულაციების მისაღებად და არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმებს მოქმედების ვადა 2020 წლის 31 მარტამდე შეუნარჩუნა.

საბოლოო ჯამში, მონმის დაკითხვის იმგვარი წესის ამოქმედება, რომელიც შევიბრებითი პროცესისთვის არის დამახასიათებელი, რამდენჯერმე გადაიდო. ბოლოს კი, 2015 წლის ცვლილებით, მეტად უცნაური მოდელი შემუშავდა, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა როგორც შევიბრებითობის, ასევე, მტკიცებულების უშუალოდ გამოკვლევის პრინციპს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მეტ-ნაკლებად მოგვარდა შევიბრებითობის კუთხით არსებული გამოწვევები, თუმცა კვლავაც ბუნდოვანია, ახალ ნორმატიულ რეჟიმში როგორ იქნება უზრუნველყოფილი, რომ მონმის პირველადი დაკითხვა მიმდინარეობდეს საქმის განმხილველ მოსამართლესთან და არა სხვაგან, თუნდაც მაგისტრატ მოსამართლესთან.

25. საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის განჩინება N2/12/1237. ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/rulings/2-12-vasil-saganelidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

ეს უკანასკნელი საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან როგორც არაერთხელ აღინიშნა, 2009 წლის საპროცესო კოდექსით შემოთავაზებული ერთ-ერთი უმთავრესი ნოვაცია უშუალოდ პრინციპია, რაც გულისხმობს ყველა მტკიცებულების სასამართლო წესით გამოკვლევას იმ მოსამართლის/ნაფიცი მსაჯულების წინაშე, რომლებმაც საქმეზე უნდა მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება. თუკი საპროცესო კოდექსის თავდაპირველი რედაქცია მხოლოდ საგამონაკლისო წესით ითვალისწინებდა საქმის არსებით განხილვამდე მონმის დაკითხვას გამოძიების დროს, მაგისტრატ მოსამართლესთან, 2015 წლის ცვლილებებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, შესაძლებელი გახდა, რომ მონმეები არა გამონაკლისის, არამედ ზოგადი წესით დაიკითხონ მაგისტრატ მოსამართლესთან. ამისათვის მხარეს მხოლოდ იმის დასაბუთება ევალება, რომ პირი შესაძლოა ფლობდეს საქმისთვის მნიშვნელოვან და რელევანტურ ინფორმაციას.

აღნიშნული შეუსაბამობაშია უშუალოდ პრინციპთან, რადგან, ნაცვლად საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამომტანი მოსამართლისა, სწორედ მაგისტრატ მოსამართლესთან ხდება მონმეთა მიერ გაჟღერებული ინფორმაციის (მათ შორის, ცალმხრივად) პირველადი გამოკვლევა. თუნდაც ეს პირები არსებითი განხილვის სხომაზე განმეორებით დაიკითხონ მონმის სახით, ისინი შეზღუდულნი არიან პირველად გაჟღერებული ინფორმაციით, ხოლო მხარეებს უკვე შესწავლილი აქვთ გაჟღერებული ინფორმაცია, რაც ნაკლებად ქმედითს ხდის საქმის არსებით განხილვაზე მონმის მიერ გაჟღერებული ინფორმაციის ორმხრივ გამოკვლევას.

## 1.2. ირიბი ჩვენება

დასაწყისისთვის უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მეტად მწირ რეგულაციებს გვთავაზობს



მტკიცებულებებთან დაკავშირებით. საპროცესო კოდექსი არ იცნობს ზოგადად პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებების კლასიფიკაციას, მათი დასაშვებობის სპეციალურ კრიტერიუმებსა და გამოყენების წინაპირობებს. რაც შეეხება ირიბ ჩვენებას, ქართული კანონმდებლობისთვის ის ახალი სამართლებრივი ინსტიტუტია და მისი შემოღებაც 2009 წლის საპროცესო კოდექსს უკავშირდება. კოდექსის თანახმად, „ირიბია მონშის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას“.<sup>26</sup> აღნიშნული განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ ირიბ ჩვენებაში იგულისხმება მესამე პირის მიერ როგორც ვერბალურად, ისე რაიმე სხვა ფორმით სასამართლოს გარეთ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მონშის მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემა.<sup>27</sup>

ირიბი ჩვენების, როგორც საქმეზე მტკიცებულებად დასაშვებობის და მისი გამოყენების პირობებს საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი განსაზღვრავს, რომელიც ორ ეტაპზე ითვალისწინებს ამგვარი ჩვენების შემოწმების შესაძლებლობას: პირველად ეს ხდება წინასასამართლო სხდომაზე, სადაც მონშდება, ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს თუ არა ინფორმაციის წყაროზე, რომლის იდენტიფიცირება და მისი რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია; შემოწმების მეორე ეტაპს კი ირიბი ჩვენება საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისას გადის, როდესაც დგინდება მისი მიმართება სხვა მტკიცებულებებთან, მათ შორის მონშდება ისიც, დასტურდება თუ არა ეს მტკიცებულება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც, თავის მხრივ, არ არის ირიბი ჩვენება.<sup>28</sup>

კანონის ეს ჩანაწერი მეტად ბუნდოვანია, რადგან ის დეტალურად არ განწერს, რამდენად სრულად უნდა დასტურდებოდეს ირიბი ჩვე-

26. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი.

27. გურამ იმნაძე, ირიბი ჩვენების გამოყენების წესი (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) - ღია საზოგადოების ფონდი, 2015 წ. გვ. 22.

28. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი.



ნება სხვა მტკიცებულებით. კერძოდ, საჭიროა თუ არა, მასში მოყვანილი თითოეული გარემოება ინდივიდუალურად დასტურდებოდეს სხვა მტკიცებულებით (რომელიც არ იქნება ირიბი ჩვენება), თუ ჩვენების ზოგადი შინაარსის დადასტურებაც საკმარისია მისი დასაშვებობისთვის. აგრეთვე, ბუნდოვანია, შეუძლია თუ არა მოსამართლეს ავტონომიურად ამ საკითხის გადაწყვეტა, თუ ის დამოკიდებულია მხარის მიერ შუამდგომლობის დაყენებაზე.<sup>29</sup>

2015 წელს, საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება<sup>30</sup> მიიღო ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით. სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საპროცესო კოდექსის კონკრეტული მუხლების ის ნორმატიული შინაარსი, რომლებიც ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის (საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლი), ან მისი ბრალდებულად ცნობის (საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლი) შესაძლებლობას იძლეოდა. გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო იმ არგუმენტით, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდნენ მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტის დაცვას. სასამართლო მიუთითებდა, რომ საპროცესო კოდექსი არასაკმარის კრიტერიუმებს ადგენდა ირიბი ჩვენების სასამართლოში დასაშვებობისთვის და კანონმდებლობიდან ცალსახად არ იკითხებოდა, ნებისმიერ შემთხვევაში არის თუ არა სავალდებულო ირიბი ჩვენების პირველწყაროს სათანადოდ შემოწმება/გამოკვლევა.<sup>31</sup>

29. გურამ იმნაძე, ირიბი ჩვენების გამოყენების წესი (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) - ღია საზოგადოების ფონდი, 2015 წ. გვ. 23.

30. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, N1/1/548. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-mogalage-zurab-miqadze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-884.page> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

31. იხ. N1/1/548 გადაწყვეტილების 29-ე პარაგრაფი.

საკონსტიტუციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებდა იმაზეც, რომ ირიბი ჩვენების ავტორის მიმართ ნაკლებად ეფექტურია ცრუ ჩვენების მიცემისთვის გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რადგან ასეთ მონშმეს არ შეუძლია დაადასტუროს პირველადი წყაროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობა, ის მხოლოდ იმეორებს ამ ინფორმაციას და არ აგებს პასუხს მის ჭეშმარიტებაზე. აქედან გამომდინარე, სასამართლომ გაუმართლებლად მიიჩნია ირიბი ჩვენების ავტომატურად დაშვება საქმეზე განურჩევლად იმისა, თუ როგორ პირობებში, რა ფორმითა და საშუალებით გახდა ცნობილი ჩვენების მიმცემი პირისათვის აღნიშნული ინფორმაცია. განსაკუთრებით პრობლემური იყო ე.წ. ორმაგი ირიბი ჩვენების საქმეზე დაშვების შესაძლებლობა.<sup>32</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ ბოლომდე არ გამოორიცხა ირიბი ჩვენების გამოყენების შესაძლებლობა, თუნდაც გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. თუმცა, ამგვარი მტკიცებულების სანდობის დაბალი ხარისხიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება დაიშვას ირიბი ჩვენება საქმეზე (შესაბამისად, პირის ბრალდებულად ცნობა, ან მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება ეფუძნებოდეს ირიბ ჩვენებას და ამ შემთხვევაშიც აუცილებელია, ასეთ ჩვენებას ადეკვატური მტკიცებულებითი წონა ენიჭებოდეს). სასამართლოს ამომწურავად არ განუმართავს, რა შემთხვევაშია შესაძლებელი ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობა, თუმცა აღნიშნა, რომ ასეთი ინფორმაცია არ უნდა გამოიყენებოდეს, როდესაც თვითმხილველი მონშმის ჩვენების ჩანაცვლება რაიმე მნიშვნელოვანი, საპატიო მიზეზის გარეშე ხდება ირიბი ჩვენების

32. გურამ იმნაძე, „ირიბი ჩვენების გამოყენების წესი (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, ღია საზოგადოების ფონდი, 2015 წ. გვ. 25.

ნებით.<sup>33</sup> 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით, არსებითად შეიცვალა ირიბი ჩვენების მომწესრიგებელი ნორმატიული ჩარჩო. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საკონსტიტუციო სასამართლომ ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით შემოატრიალა პრეზუმფცია და მიუთითა, რომ, ზოგადი წესით, ასეთი მტკიცებულება უნდა იყოს დაუშვებელი, მაგრამ კანონმდებელს დაუტოვა შესაძლებლობა, გაეწერა გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც მართლმსაჯულების აუცილებელი ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელი იქნებოდა ასეთი მტკიცებულების დაშვება.

სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით დღემდე არ არის სათანადო ცვლილებები შეტანილი საპროცესო კოდექსში და შესაბამისად, ღიად არის დატოვებული საკითხი, რა საგამონაკლისო შემთხვევებშია შესაძლებელი ირიბი ჩვენების, და ზოგადად ირიბი მტკიცებულების საქმეში დაშვება და მათ საფუძველზე, პირის ბრალდებულად ცნობა, ან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. ამ საკითხის მოუწესრიგებლობა განსაკუთრებით პრობლემურია იმ ფონზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, საერთო სასამართლოების პრაქტიკა არაერთგვაროვნად განვითარდა ირიბ მტკიცებულებებთან დაკავშირებით. მაგალითად, უმრავლეს შემთხვევაში, პირის ბრალდებულად ცნობა, ან მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა არ ხდება ირიბი ჩვენების საფუძველზე, თუმცა არის შემთხვევებიც, როდესაც საერთოდ დაუშვებლად ცნობენ ამგვარ მტკიცებულებას (მათ შორის, დაცვის მხარის მიერ მისი წარმოდგენის დროსაც).<sup>34</sup> აგრეთვე, სასამართლოებისთვის მეტად რთულია, თავად განსაზღვრონ, როდის

33. ირინე ურუშაძე, „ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში - საერთო სასამართლოების პრაქტიკის კვლევა“, ღია საზოგადოების ფონდი, 2015 წ. გვ. 10.

34. ირინე ურუშაძე, „ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში - საერთო სასამართლოების პრაქტიკის კვლევა“, ღია საზოგადოების ფონდი, 2015 წ. გვ. 28.

შეიძლება არსებობდეს ის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც სამართლიანი და კონსტიტუციური იქნებოდა ირიბი ჩვენების საქმეზე დაშვება და მასზე საბოლოო გადაწყვეტილების დაყრდნობა.

### 1.3. ჩხრეკა

მონმის ჩვენების მსგავსად, ინფორმაციის მოპოვების მნიშვნელოვანი წყარო არის ჩხრეკა და ამოღება. მიუხედავად იმისა, რომ ახალი საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მხარეთა მეტ-ნაკლებად თანაბარი საგამოძიებო ინსტრუმენტებით აღჭურვა იყო, ამ შემთხვევაშიც დაცვის მხარის საწინააღმდეგოდ განისაზღვრა ბალანსი. კანონის თავდაპირველი რედაქცია მხოლოდ ბრალდების მხარეს ანიჭებდა უფლებამოსილებას, სასამართლოს განჩინების, ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, პროკურორის დადგენილებით ჩაეტარებინა ჩხრეკა/ამოღება.

აღნიშნული საკითხი არაერთხელ გამხდარა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკის საგანი<sup>35</sup> და შედეგად, ეს პრობლემა 2013 წლის საკანონმდებლო ცვლილებით ნაწილობრივ გამოსწორდა. კერძოდ, ბრალდებულს მიენიჭა სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება ჩხრეკის და ამოღების თაობაზე.<sup>36</sup> დაცვის მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსამართლე ავალებს საგამოძიებო უწყებას ჩხრეკის/ამოღების ჩატარებას. ღონისძიება უნდა ჩატაროს იმ გამომძიებელმა, რომელიც ბრალდებულის მიმართ წარმოებული საქმის

35. Council of Europe (2014). Report by Nils Muižnieks, Commissioner for Human Rights of the Council of Europe, Following his Visit to Georgia, from 20 to 25 January 2014. Strasbourg, Council of Europe., p.8. Available at: <https://rm.coe.int/16806db81a> [accessed 04.12.2019].

36. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ 2013 წლის 14 ივნისის კანონი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1956658?publication=0#DOCUMENT:1> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

გამოძიებაში არ არის ჩართული. კანონმა კვლავაც შეინარჩუნა დაცვის მხარისათვის მანამდე არსებული შეზღუდვა ამ ღონისძიების გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებაზე.<sup>37</sup>

მოქმედი კანონმდებლობით, დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩატარებული ჩხრეკა/ამოღების შედეგად მოპოვებული საგნის, ნივთის ან ნივთიერების პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს არა ბრალდებულს, ან მის ადვოკატს, არამედ ბრალდების მხარეს - პროკურორს.<sup>38</sup> ასეთი რეგულირება საფრთხეს უქმნის სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომელიც თავის თავში მოიაზრებს თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიას. ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაცვის მხარემ წინასწარ არ იცის დარწმუნებით, ჩხრეკა/ამოღების შედეგად რა კონკრეტული შედეგი დადგება და მოხდება თუ არა მისი სასარგებლო ნივთმტკიცების ამოღება, შეიძლება ბრალდებულს მოუხდეს მის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად ამოღებული ისეთი ინფორმაციის მიწოდება ბრალდების მხარისთვის, რომელიც მის ბრალდებას ადასტურებს.

ბრალდების მხარისგან განსხვავებით, დაცვის მხარე არ არის ვალდებული, სრულად და ყოველმხრივ აწარმოოს მისი წილი გამოძიება. დაცვის მხარეს არ ევალება მისთვის საზიანო მტკიცებულების წარდგენა სასამართლოს წინაშე, მაგრამ თუკი ჩხრეკის შედეგად მოპოვებული ასეთი მტკიცებულება სავალდებულო წესით უნდა გადაეცეს პროკურორს, ამით საფრთხის ქვეშ დგება თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლებაც.<sup>39</sup>

37. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

38. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი.

39. საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაცია, „მტკიცებულებებთან დაკავშირებული პრობლემები სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შევიძრებლობის და თანასწორობის კუთხით“, 2018. გვ. 12.

#### 1.4. ფარული საგამოძიებო მოქმედებები

საპროცესო კოდექსის სამუშაო რედაქცია, რომელიც თავდაპირველად დაინიჭირდა საქართველოს პარლამენტში, შეიცავდა სპეციალურ თავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე.<sup>40</sup> აღნიშნული თავი საპარლამენტო განხილვების თითქმის სრულ ციკლში ნარჩუნდებოდა კოდექსის პროექტში და მესამე მოსმენით განხილვის დროსაც კოდექსის XVI თავი სპეციალურად ეთმობოდა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს.<sup>41</sup> 2009 წლის 9 ოქტომბერს, პარლამენტმა კოდექსის სწორედ იმგვარ რედაქციას დაუჭირა მხარი, რომელიც შეიცავდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების თავს.

ფარული საგამოძიებო ღონისძიებების კატეგორიაში გაერთიანებული იყო ისეთი მოქმედებები, როგორიცაა: ვიზუალური, ან ნებისმიერი სხვა სახის კონტროლი; საკონტროლო შესყიდვა; ტექნიკური საშუალებით განხორციელებული კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა; კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა და სხვ. მანამდე, აღნიშნული საკითხები რეგულირდებოდა ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით და რეფორმის მიზანი იყო, სისხლის სამართლის გამოძიებისთვის საჭირო ყველა ღონისძიება და სამართლებრივი ინსტრუმენტი ერთიან პროცესუალურ სტანდარტს დაქვემდებარებოდა. სამწუხაროდ, მანამ, სანამ ახალი საპროცესო კოდექსი ძალაში შევიდოდა,<sup>42</sup> მასში

40. საპროცესო კოდექსის პარლამენტში ინიცირებული რედაქცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://info.parliament.ge/#law-drafting/9219> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

41. საპროცესო კოდექსის პროექტის მესამე მოსმენით წარდგენილი ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/75635> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

42. ახლად მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გარდამავალ დებულებაში აღინიშნა, რომ კოდექსის ძირითადი დებულებები 2010 წლის 1 ოქტომბრიდან შევიდოდა ძალაში.

განხორციელდა მასშტაბური ცვლილებები, რომელმაც, სხვა საკითხებთან ერთად, ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეგულირებაც შეცვალა და აღნიშნული თავი მთლიანად გაქრა საპროცესო კოდექსიდან.<sup>43</sup> შედეგად, ძალაში დარჩა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი, რომელმაც საპროცესო კოდექსის პალაუელურად გააგრძელა მოქმედება.

2014 წელს, საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ მიუბრუნდა აღნიშნულ საკითხს და სამოქალაქო ჯგუფების აქტიური მოთხოვნის შედეგად, საპროცესო კოდექსში ნაწილობრივ დაბრუნდა მანამდე არსებული ფარული საგამოძიებო ღონისძიებების თავი.<sup>44</sup> ეს იყო ერთგვარი რეაქცია 2012 წელს გამოვლენილ მასშტაბურ პრობლემებზე და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე. სწორედ ამ დროს გახდა ცნობილი სამართალდამცავი ორგანოების მიერ უკანონოდ მოპოვებული და დამუშავებული პირადი ცხოვრების შემცველი ინფორმაციის შესახებ და ხელისუფლებამ ამ პრობლემაზე საპასუხოდ გადაწყვიტა, აღნიშნულ საქმიანობაზე კონტროლის გასამკაცრებლად, უფრო მეტი რეგულაცია შემოეღო.

2014 წლის ცვლილებების შედეგად, საპროცესო კოდექსში შევიდა ძირითადი პრობლემური ღონისძიებები, რომლებიც განსაკუთრებული ინტენსივობის ჩარევას გულისხმობს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებაში. მათ შორის არის სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ინფორმაციის მოხსნა/ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან, ან კომპიუტერული სისტემიდან;

43. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ 2010 წლის 24 სექტემბრის კანონი, N3616. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1021946?publication=0> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

44. იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ 2014 წლის პირველი აგვისტოს კანონი N 2634-რს. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2457218?publication=0#DOCUMENT:1> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].



გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა; საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლი; ფარული ვიდეო/აუდიო ჩანწერა და ფოტოგადაღება და სხვ.<sup>45</sup> აღნიშნული ცვლილებებით, ცალსახად ამაღლდა ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები, რადგან საპროცესო კოდექსი კონტროლის უფრო მეტ ინსტრუმენტს ითვალისწინებს ჩამოთვლილ ღონისძიებებზე, ვიდრე „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი. თუმცა, ორი მნიშვნელოვანი პრობლემა მაინც შენარჩუნდა:

- 1) საპროცესო კოდექსში სრულად არ გადავიდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონში არსებული ღონისძიებები და ამ უკანასკნელში დღემდე შენარჩუნებულია ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი; საკონტროლო შესყიდვა; დაკავებული/დაპატიმრებულის კორესპონდენციის ცენზურა; ელექტრონული კომუნიკაციების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოპოვება; ინტერნეტ-ურთიერთობის მონიტორინგი და სხვ.<sup>46</sup> ამგვარად, ხდება რიგი ღონისძიებების დუბლირება ორ ნორმატიულ აქტში და მათ ჩასატარებლად განსხვავებული სამართლებრივი სტანდარტებია განსაზღვრული. კიდევ უფრო პრობლემურია ის, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონში ამ ღონისძიებების დატოვებით, ფაქტობრივად, შენარჩუნდა ე.წ. წინასწარი გამოძიების ეტაპი, რომლის ფარგლებშიც, სამართალდამცავები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებისა და სტანდარტებისთვის გვერდის ავლით, მოიპოვებენ საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, თუმცა მათზე არ ვრცელდება შესაბამისი საპროკურორო და სასამართლო კონტროლი.

45. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლი.

46. ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი.



2) ფარული საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელებისას, სამართალდამცავი უწყებები აღჭურვილი იყო იმგვარი ტექნიკური შესაძლებლობებით, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ქმნიდა რისკებს, პოლიციის მხრიდან ამ უფლებაში თვითნებურად ჩარევისათვის.

სწორედ ამ უკანასკნელ საკითხზე იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებაში.<sup>47</sup> აღნიშნულ საქმეში მოსარჩელები ასაჩივრებდნენ იმ საკანონმდებლო ნორმებს, რომლებიც სამართალდამცავ ორგანოებს ანიჭებდა უფლებამოსილებას, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისათვის განეთავსებინათ სათანადო ინფრასტრუქტურა კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის საშუალებებთან, რათა ჰქონოდათ რეალურ დროში ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა. ასევე, სადავო იყო სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილება, ორი წლის ვადით შეენახათ კავშირგაბმულობის არხში არსებული მაინდეთიფიცირებელი ინფორმაცია (აღნიშნული საკითხები წესრიგდებოდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით). რაც მთავარია, მოსარჩელები არაკონსტიტუ-

47. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახაგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადანიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-saxalxo-damcveli-saqartvelos-moqalaqeebi-giorgi-burdjanadze-lika-sadjaia-giorgi-gociridze-tatia-qinqladze-giorgi-chitidze-lasha-tugushi-zviad-qoridze-aaip-fondi-gia-sazogadoeba-saqartvelo-aaip-saertashoriso-gamchvirvaloba-saqartvelo-aaip-saqar.page> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

ციურად მიიჩნევდნენ ე.წ. „ორეტაპიან ელექტრონულ სისტემას“, რომელიც ითვალისწინებდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონულ თანხმობას მართლზომიერი გადაჭერის სისტემის მეშვეობით სატელეფონო მოსმენის განსახორციელებლად (აღნიშნული საკითხს უკვე აწესრიგებდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კერძოდ კი იმ დროისთვის მოქმედი რედაქციის 143<sup>3</sup> მუხლის მე-4 ნაწილი).

საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სამართალდამცავ ორგანოს აძლევდა იმგვარ ტექნიკურ/მატერიალურ შესაძლებლობას, რომლის წყალობითაც ამ უწყებას (კონკრეტულად კი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტს) წვდომა ჰქონდა დიდი რაოდენობით ინფორმაციაზე, მათ შორის პერსონალურ მონაცემებზე. სასამართლომ ხაზი გაუსვა ამ ორგანოს საგამოძიებო ბუნებას და მის ბუნებრივ ინტერესს, დაემუშვებინა და შეენახა მაქსიმალურად დიდი რაოდენობით ინფორმაცია, რათა უკეთ განეხორციელებინა საგამოძიებო და ზოგადად სამართალდაცვითი ფუნქციები. ამ ფონზე, საკონსტიტუციო სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია მონაცემების დამუშავების პროცესზე არსებული გარე კონტროლის მექანიზმები, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ ტექნიკური ნებართვის გაცემის აუცილებლობა, მანამ სანამ სამართალდამცავი ორგანო დაიწყებდა ინფორმაციის დამუშავებას. როგორც აღინიშნა, სასამართლომ ასევე არაკონსტიტუციურად მიიჩნია ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ბლანკეტურად, ორი წლის ვადით შენახვა.<sup>48</sup>

48. საკონსტიტუციო სასამართლო, „20 წელი: პრეცედენტული გადაწყვეტილებები“, გვ. 69-71. ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.gov.ge/>

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საპასუხოდ, პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საპროცესო კოდექსსა<sup>49</sup> და სხვა ნორმატიულ აქტებში, რომლის შედეგადაც, ქვეყანაში შეიქმნა სპეციალური დეპარტამენტი - სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო. სწორედ აღნიშნულ სამსახურს მიენიჭა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის; კავშირგაბმულობის არხიდან და კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვების; გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის და საფოსტო-სატელეფონო გზავნილის კონტროლის უფლებამოსილებები.<sup>50</sup> აგრეთვე, აღნიშნული საქმიანობით მოპოვებული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირების და შენახვის ვადად განისაზღვრა ერთი წელი, რომლის გაგრძელებაც შეიძლება არაუმეტეს სამი თვით.<sup>51</sup>

სამწუხაროდ, ამ ცვლილებებმა სრულად ვერ მოაგვარა ის პრობლემები, რაზეც მიუთითებდა სამოქალაქო საზოგადოება და რაზე დაყრდნობითაც მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება. კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებებით კიდევ უფრო შემცირდა ფარული მოსმენების პროცესზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლი; ამავდროულად, ახლადშექმნილ სააგენტოს კერძო ბიზნესის საქმიანობაში ჩარევის უფლებამოსილებაც მიენიჭა და სამართალდაცვითი და ოპერატიულ-სამძებრო ფუნქციების გარდა,

---

[ge/ge/publications/otherpublications/sakonstitucio-sasamartlos-precidentuli-gadawyvetilebebi-20-weli.page](http://ge/ge/publications/otherpublications/sakonstitucio-sasamartlos-precidentuli-gadawyvetilebebi-20-weli.page) [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

49. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ 2017 წლის 22 მარტის კანონი N476-III. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3597520?publication=0#DOCUMENT:1> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].
50. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.
51. იქვე, მე-15 მუხლის პირველი და მეორე ნაწილები.

სააგენტო კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის გარკვეულ კომპეტენციებსაც ითავსებს, რომლის ფარგლებშიც, სააგენტო მონაწილეობას იღებს კომპანიების ლიცენზირების პროცესში, აქვს უფლება შეამოწმოს ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიები და მოსთხოვოს მის მიერ დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის შექმნა და განთავსება. რაც ყველაზე პრობლემურია, სააგენტოს შეუნარჩუნდა პირდაპირი წვდომა ელექტრონულ კომუნიკაციებზე და ამავდროულად ის კვლავაც უშუალოდ ექვემდებარება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელს.<sup>52</sup> შედეგად, ახლად შემუშავებული კანონმდებლობა კიდევ ერთხელ გასაჩივრდა საკონსტიტუციო სასამართლოში კამპანია „ეს შენ გეხებას“ და 300-ზე მეტი მოქალაქის მიერ (აღნიშნულ კონსტიტუციურ სარჩელებზე სასამართლოს ამ დრომდე არ აქვს მიღებული გადაწყვეტილება).<sup>53</sup>

### 1.5. კომპიუტერულ სისტემაში არსებული მონაცემები

თანამედროვე საზოგადოებაში ტექნოლოგიები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. კომპიუტერული სისტემები და მონაცემები კრიტიკულად მნიშვნელოვანია პოლიციური და სამართალდაცვითი საქმიანობისას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია რომ, საპროცესო კანონმდებლობამ აღნიშნული საკითხიც მოაწესრიგა და პროკურატურას შესაძლებლობა მისცა, სასამართლოს შუამდგომლობის საფუძველზე (ან გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში, მის გარეშე) მოიპოვოს კომპიუტერულ სისტემაში ან

52. კამპანია ეს შენ გეხებას 2017 წლის 2 მარტის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/faruli-miquradebis-maregulirebeli-akhali-kanonmdebloba-ver-uzrunvelqofs-piradi-tskhovrebis-khelsheukheblobas> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

53. [nb. shorturl.at/cdm18](http://nb.shorturl.at/cdm18)

კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში არსებული ისეთი ინფორმაცია ან დოკუმენტი, რომელიც მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საქმისთვის.<sup>54</sup>

წლების განმავლობაში, საპროცესო კანონმდებლობის ხარვეზი იყო ის, რომ კომპიუტერულ მონაცემებზე და მათთან დაკავშირებულ მტკიცებულებებზე წვდომა მხოლოდ ბრალდების მხარეს ჰქონდა, ხოლო დაცვის მხარეს არ ეძლეოდა შესაძლებლობა, იმავე შუამდგომლობით მიემართა სასამართლოსთვის და გამოეთხოვა კომპიუტერული მონაცემი. აღნიშნულით კიდევ ერთხელ ილახებოდა შევიძრებიანობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპი და ბრალდების მხარეს გაუმართლებელ უპირატესობას ანიჭებდა. აქვე აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოები ტერმინ „კომპიუტერულ მონაცემს“ ფართოდ განმარტავენ და მასში მოიაზრებენ ნებისმიერ ინფორმაციას, რაც კომპიუტერულ სისტემაში ინახება.<sup>55</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება სწორედ ამ საკითხს შეეხებოდა. სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც მხოლოდ ბრალდების მხარეს ანიჭებდა კომპიუტერული მონაცემების მოპოვების შესაძლებლობას.<sup>56</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმები

54. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილი.

55. გოგა ხატიაშვილი, „როგორ განვითარდა კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის კანონმდებლობა და პრაქტიკა“, *საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა (ჟურნალი)*, 2019. გვ. 65, 68, ხელმისაწვდომია: <https://iljau.edu.ge/uploads/other/54/54854.pdf> [წვდომის თარიღი: 03.12.2019].

56. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის N1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-1-saqartvelos-moqalaeebi-nadia-xurcidze-da-dimitri-lomidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

ერთდროულად ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის რამდენიმე დებულებას, კერძოდ, გამამტყუნებელი განაჩენისათვის დადგენილი საჭირო მტკიცებულებათა უტყუარობისა და დასაბუთების კონსტიტუციურ სტანდარტს;<sup>57</sup> აგრეთვე სამართლიანი სასამართლოს უფლების ორ კომპონენტს - ა) საკუთარი უფლებების დაცვისათვის რელევანტური სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას და ბ) დაცვის უფლებას.<sup>58</sup>

სასამართლო თავის გადაწყვეტილებას აყრდნობს იმ არგუმენტაციას, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც დაცვის მხარეს არ აქვს სრულყოფილად თავისი ვერსიების დამადასტურებელი ინფორმაციისა და მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობა, შეჭიბვებით პროცესში, ეს ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების სანდლობაზე უარყოფითად აისახება, რადგან ვერ ქარწყლდება ყველანაირი ეჭვი თუ შესაძლებლობა, რომ ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების მიღმა, არსებობდეს სხვა ისეთი ინფორმაცია, რომელიც სხვა სურათს წარმოაჩინდა სასამართლოს წინაშე.<sup>59</sup> აგრეთვე, სასამართლომ პრობლემურად მიიჩნია ის გარემოება, რომ დაცვის მხარე ამ პროცესში მთლიანად იყო დამოკიდებული ბრალდების მხარეზე და არ შეეძლო დამოუკიდებლად მოეპოვებინა მისთვის საჭირო და რელევანტური ინფორმაცია.<sup>60</sup>

- 
57. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე არსებული რედაქციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი.
  58. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე არსებული რედაქციის 42-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები.
  59. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის N1/1/650,699 გადაწყვეტილების 43-ე და 44-ე პარაგრაფები.
  60. იქვე. მე-16 პარაგრაფი.

## 2. საქმის გამოძიება და პროცესის მონაწილეები

### 2.1. გამოძიების დაწყება

მოქმედი საპროცესო კოდექსი, სისხლის სამართლის წარმოების რამდენიმე ეტაპს მოიცავს. საწყისი ეტაპი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებაა, რაც ავტომატურად წარმოადგენს გამოძიების დაწყების საფუძველს.<sup>61</sup> ერთი შეხედვით, კანონმდებლობა მკაფიო დანაწესს აკეთებს, რომ დანაშაულის შესახებ განხორციელებული ყველა მოქმედება გამოძიების ფარგლებში უნდა წარიმართოს, თუმცა დანაშაულის თაობაზე ინფორმაციის არსებობისას, არ არის გამორიცხული სხვა, პარალელურ სამართლებრივ რეჟიმში, სამართალდამცავი ორგანოების მოქმედება. როგორც უკვე აღინიშნა, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ ქმნის გამოძიების მიღმა, ე.წ. წინასაგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობას, რადგან აღნიშნული კანონით გათვალისწინებული არაერთი ღონისძიება პირდაპირ მიემართება დანაშაულს. თავისი ბუნებით, აღნიშნული ღონისძიებები ცალსახად წარმოადგენს არა პრევენციულ ან საპოლიციო, არამედ - საგამოძიებო მოქმედებებს და მათი ჩატარებისთვის კანონმდებლობა ბევრად დაბალი ხარისხით ითვალისწინებს საპროკურორო თუ სასამართლო კონტროლს. აღნიშნული კი, მნიშვნელოვნად ზრდის პრაქტიკაში სწორედ ამ ღონისძიებების ჩატარების რისკებს, რა დროსაც, შესაძლოა, გამოძიება ფორმალურადაც კი არ იყოს დაწყებული.<sup>62</sup>

61. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი.

62. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC),  
“დანაშაულის პრევენცია, საპოლიციო კონტროლის რისკები”, 2017 წ. გვ. 31



მსგავს რისკებს აძლიერებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონიც, რომელიც დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთ ინსტრუმენტად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას განიხილავს. აღნიშნული კანონი იცნობს რამდენიმე ისეთ ღონისძიებას, რომელიც პირდაპირ მიემართება დანაშაულს, ან არსებობს მათი საგამოძიებო ღონისძიებაში გადაზრდის რისკი.<sup>63</sup> კანონმდებლობა მკაფიო ზღვარს ვერ ავლენს საგამოძიებო და პრევენციულ ღონისძიებებს შორის, განსაკუთრებით ისეთი საპოლიციო მოქმედებების შემთხვევაში, რომლებიც თავისი ბუნებით, მეტწილად საპროცესო-სამართლებრივი ხასიათისაა და აქვს არა იმდენად პრევენციული, რამდენადაც საგამოძიებო ბუნება.<sup>64</sup>

მსგავს პრობლემასთან გვაქვს საქმე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შემთხვევაშიც. ზოგადად, აღნიშნული კანონის ერთ-ერთი დეკლარირებული ამოცანა სწორედ დანაშაულებრივი ქმედების გამოვლენა, აღკვეთა, ან მისი თავიდან აცილებაა. როგორც უკვე აღინიშნა, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს (მათ შორის ვიზუალური კონტროლი, კონტროლირებადი მიწოდება), რომლებიც ცალსახად გამიზნულია სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მოგროვებისკენ. პრობლემურია ისიც, რომ კანონი პირდაპირ ითვალისწინებს ამ ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობას, თუკი შესაბამის ორგანოში მიღებულია შეტყობინება ან განცხადება რომ მზადდება, ხდება, ან უკვე მოხდა დანაშაული, რომლის თაობაზეც აუცილებელია გამოძიების ჩატარება, მაგრამ არ არსებობს დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები, რაც საკმარისი იქნებოდა გამოძიების დასაწყებად.<sup>65</sup> კანონის ამგვარი

63. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი

64. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „საგამოძიებო სისტემის ანალიზი“, 2018 წ. გვ. 32.

65. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8



დანანესი პირდაპირ ეწინააღმდეგება საპროცესო კოდექსით დადგენილ ზოგად სტანდარტს, რომ დანაშაულის შესახებ ნებისმიერი ფორმით მიღებული ინფორმაცია იმპერატიულად წარმოშობს გა მოძიების დანყების ვალდებულებას.<sup>66</sup>

შჯამებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კოდექსი ადგენს მკაფიო სტანდარტს, თუ რა რეაგირება უნდა ჰქონდეს შესაბამის უწყებებს დანაშაულის შესახებ მიღებულ ინფორმაციაზე, ზემოაღნიშნული ორი ნორმატიული აქტი („პოლიციის შესახებ“ და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონები) იძლევა აღნიშნული პრინციპისგან გადახვევის შესაძლებლობებს. განსაკუთრებით პრობლემურია ისეთი შემთხვევები, როდესაც მონოდებული ინფორმაციიდან ცალსახად არ იკვეთება დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები. ასეთ ვითარებაში ე.წ. წინასაგამოძიებო ეტაპზე მონმდება ინფორმაციის შინაარსი, ხელახლა იკითხება ინფორმაციის ავტორი, მუშავდება დამატებითი დოკუმენტები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამგვარი გზით მოპოვებულ ინფორმაციას არ გააჩნია მაღალი სანდლობის ხარისხი, აგრეთვე, შესაძლოა, იმგვარად მოხდეს კომუნიკაცია დანაშაულში შესაძლო შემხებლობაში მყოფ პირთან, რომ იგი არ იყოს გაფრთხილებული საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.<sup>67</sup>

აღსანიშნავია, რომ საპროცესო კოდექსის თავდაპირველი რედაქცია ითვალისწინებდა გამომძიებლის/პროკურორის ვალდებულებას, სამი დღის ვადაში ეცნობებინათ პირისათვის იმ ზომების/რეაგირების შესახებ, რომელიც სამართალდამცავმა უწყებამ განახორციელა დანაშაულის თაობაზე მიღებული ინფორმაციის

---

მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

66. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი.

67. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „საგამომძიებო სისტემის ანალიზი“, 2018 წ. გვ. 40.

საპასუხოდ.<sup>68</sup> აღნიშნული ვალდებულება მნიშვნელოვანი გარანტია შეიძლება ყოფილიყო იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამართალდამცავი ორგანოები სათანადოდ შეასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და დანაშაულის თაობაზე მიღებულ ინფორმაციაზე სწორი რეაგირება ექნებოდათ. სამწუხაროდ, კოდექსის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს მხოლოდ განმცხადებლის შესაძლებლობას, მიიღოს დანაშაულის შესახებ შეტყობინების დამადასტურებელი წერილობითი ცნობა.<sup>69</sup>

## 2.2. გამოძიების პროცესი და მისი მონაწილეები

ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებებზე წინა თავებში დეტალურად იყო საუბარი. ამ შემთხვევაში, ყურადღება გამახვილებულია გამოძიების პროცესზე და მასში ჩართული სუბიექტების სტატუსსა და როლზე. პირველ რიგში, აღსანიშნავია რომ, ახალი საპროცესო კოდექსით მნიშვნელოვნად გაძლიერდა გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობის ფარგლები და ამის საპირწონედ, შეიზღუდა გამოძიებლის დამოუკიდებლად მოქმედების არეალი.

ერთი შეხედვით, საპროცესო კოდექსმა მკაფიოდ განსაზღვრა პროკურორის სტატუსი და მას ექსკლუზიურად მიანიჭა სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია. აღნიშნული ფუნქციის სათანადოდ განხორციელებისთვის კი, სხვა ფუნქციებთან ერთად, პროკურორი აღიჭურვა გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის უფლებამოსილებით.<sup>70</sup>

საპროცესო ხელმძღვანელობის შინაარსი, მოქმედი კანონმდებლობით, მეტად ფართოა და პროკურორს ანიჭებს ჰიპერაქტიურ

68. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2010 წლის 7 დეკემბრამდე არსებული რედაქციის მე-100 მუხლი.

69. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლი.

70. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი.

როლს გამოძიების ეტაპზე. კერძოდ, პროკურორი გამოძიების პროცესში მისი სანყისი ეტაპიდანვე ერთვება, რაც იმაში გამოიხატება, რომ გამოძიებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ბედამხედველ პროკურორს გამოძიების დაწყების თაობაზე.<sup>71</sup> ამავედროულად, პროკურორს უფლება აქვს, სავალდებულო მითითება მისცეს გამოძიებელს გამოძიებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა საქმის გამოძიებაში ან საერთოდაც თავად წარმართოს მთლიანად გამოძიება. კანონმდებლობა მას შეუზღუდავ უფლებამოსილებას ანიჭებს, გაეცნოს საქმის ცალკეულ, ან მთლიან მასალებს და თუკი საჭიროდ ჩათვლის, მიიღოს გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილება.<sup>72</sup>

აგრეთვე, საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების შესასრულებლად, სავალდებულოა პროკურორის მონაწილეობა. მაგალითად, მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ისეთი საგამოძიებო ღონისძიების ჩატარების თაობაზე, რომელიც ზღუდავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს (ასეთი ღონისძიებებია ჩხრეკა, ამოღება, პირის სავალდებულო წესით დაკითხვა, ფარული საგამოძიებო მოქმედებები, დაკავება და ა.შ.)<sup>73</sup> პროკურორისგან განსხვავებით, გამოძიებელს არ აქვს მსგავსი ტიპის საგამოძიებო ღონისძიებებზე დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და თუკი გავითვალისწინებთ ჩამოთვლილი ღონისძიებების მნიშვნელობას საქმის გამოძიებისთვის, გამოდის, რომ გამოძიებელი მთლიანად დამოკიდებულია პროკურორზე.<sup>74</sup>

71. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი.

72. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი.

73. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლი.

74. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „საგამოძიებო სისტემის ანალიზი“, 2018 წ. გვ. 46.

ნათელია, რომ პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა მეტად ინტენსიურია და ის მოიცავს გამოძიების ფარგლებში მისაღებ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ასეთ პირობებში ბუნებრივად ჩნდება კითხვები პროკურორის სტატუსთან დაკავშირებით. კერძოდ, უნდა წარმართავდეს თუ არა იგი გამოძიებას უშუალოდ, თუ იყოს მისი გარე მაკონტროლებელი როგორც ეფექტიანობის, ისე კანონიერების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ შეკიბრებითი მოდელებისთვის უფრო მეტად დამახასიათებელია გამოძიების ეტაპზე პასიური პროკურორი, რომელიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იღებს გადაწყვეტილებას გამოძიებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და როგორც წესი, მას აქვს ზედამხედველის, ან რჩევის გაცემის როლი ამ პროცესში.<sup>75</sup>

გამოძიების პროცესში პროკურორის აქტიური ჩართულობა, ასევე, წარმოშობს კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობის განაწილების პრობლემას გამომძიებელსა და პროკურორს შორის. აგრეთვე, ეჭვქვეშ დგება გამოძიების ობიექტურობისა და ყოველმხრივობის საკითხი, რადგან, როგორც აღინიშნა, საპროკურორო ზედამხედველობის უმთავრესი დანიშნულება სისხლისსამართლებრივი დევნის წარმატებით წარმართვაა. სწორედ ამ გამონგვევებზე საპასუხოდ და გამოძიების პროცესში პროკურატურის როლის მკაფიოდ განსასაზღვრავად, 2018 წლიდან მიმდინარეობდა რეფორმის კონცეფციაზე მუშაობა სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით, თუმცა რეფორმის პროცესი დასკვნით ფაზაში არ გადასულა.

75. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „საგამოძიებო სისტემის ანალიზი“, 2018 წ. გვ. 48.

### 2.3. ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიება

მოქმედი საპროცესო კოდექსი ორაზროვან ჩანაწერებს ითვალისწინებს საქმის ობიექტურად გამოძიებასთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, კოდექსი ადგენს, რომ გამოძიებელი ვალდებულია, საქმე აწარმოოს სრულყოფილად, ყოველმხრივ და ობიექტურად, მაგრამ, იმავდროულად, გამოძიებელი სარგებლობს ბრალდების მხარის სტატუსით.<sup>76</sup>

საქმის სრულყოფილად და ობიექტურად გამოძიების ვალდებულება ნიშნავს, რომ გამოძიებელი უნდა გასცდეს ბრალდების მხარის პოზიციას და არ მოქმედებდეს მხოლოდ კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანად წარმართვის მიზნით. არამედ, ყოველმხრივ უნდა სწავლობდეს საქმის ყველა მნიშვნელოვან გარემოებას, რის შედეგადაც, შესაძლებელია, ორივე მხარისთვის სასარგებლო ან საზიანო მტკიცებულებების მოპოვება.<sup>77</sup> იმისათვის რომ გამოძიებელმა სათანადოდ შეასრულოს აღნიშნული ფუნქცია, სათანადო სტატუსთან ერთად, ის აღჭურვილი უნდა იყოს მაღალი დონის ოპერაციული დამოუკიდებლობით, რათა თავად გადაწყვიტოს, რომელი საგამოძიებო ღონისძიება როდის განახორციელოს და რა სტრატეგიით წარმართოს მთლიანად გამოძიება.

ამ კონტექსტში, ასევე მნიშვნელოვანია, მხარეთა მიერ მტკიცებულებების გაცვლის საკითხი. საპროცესო კოდექსი მხარეებს ავალდებულებს, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე დააკმაყოფილონ მეორე მხარის მოთხოვნა იმ ინფორმაციის გაცნობის მიზნით, რომლის წარდგენასაც ისინი სასამართლოში აპირებენ. კოდექსი ბრალდების მხარეს ასევე ავალდებულებს, დაც-

76. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლი.

77. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „საგამოძიებო სისტემის ანალიზი“, 2018 წ. გვ. 49.

ვის მხარეს მიაწოდოს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულები.<sup>78</sup>

კანონმდებლობის ხარვეზია ის, რომ მტკიცებულებათა გაცვლის პროცესუალური ვალდებულების დარღვევისთვის არ არსებობს ეფექტიანი სამართლებრივი ზემოქმედების მექანიზმები. ინფორმაციის (მათ შორის გამამართლებლის) ბრალდებულისთვის არგაზიარების ერთადერთი სამართლებრივი შედეგი შეიძლება იყოს ის, რომ პროკურორი მას სასამართლოში მტკიცებულებად ვეღარ წარადგენს.<sup>79</sup> აღნიშნული რეგულაცია ნაკლებად პრობლემურია ისეთ ვითარებაში, როცა პროკურორი ბრალდების მხარეს არ უზიარებს გამამტყუნებელ მტკიცებულებას. მაგრამ მაშინ, როცა დაცვის მხარეს არ მიეწოდება გამამართლებელი მტკიცებულება, პროკურორის ამ ქმედების „დასჯა“ მხოლოდ იმით, რომ შემდეგ ეს ინფორმაცია ვეღარ მოხვდება სასამართლოში არსებით განხილვაზე, აშკარად არაა ქმედითი და ადეკვატური რეაგირება.

ობიექტური და ყოველმხრივი გამოძიების კონტექსტში, აგრეთვე კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ბრალდების და დაცვის მხარეები მეტ-ნაკლებად თანაბარი სამართლებრივი ბერკეტებით იყვნენ აღჭურვილნი, მოიპოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია და წარადგინონ სასამართლოში. წინა თავებში დეტალურად იყო განხილული, თუ რა ტიპის შეზღუდვები აქვს ბრალდებულს კონკრეტული საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელებისას. ამ შემთხვევაში, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მხარეთა შორის არსებული დიდი უფლებრივი დისბალანსი წინააღმდეგობრივია შეჯიბრებითი საპროცესო სამართლის იდეასთან. მიუხედავად იმისა, რომ იგი მხარეთა იდენტურ, აბსოლუტურ თანაბრობას

78. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი.

79. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „საგამოძიებო სისტემის ანალიზი“, 2018 წ. გვ. 50.

არ გულისხმობს, შეჯიბრებითი პროცესისთვის მნიშვნელოვანია, დაცვის მხარე არ დარჩეს ეფექტური ბერკეტების გარეშე, მოიპოვოს მისთვის საჭირო მტკიცებულებები და აწარმოოს ალტერნატიული გამოძიება მისთვის სასურველი მასშტაბით.

### 3. პატიმრობის და ბრალდებულად ყოფნის 9 თვიანი ვადები

ერთიანი, მყარი საპროცესო ვადების არსებობა მნიშვნელოვანი გარანტიაა ბრალდებულისთვის და ქმნის გარკვეულ მოლოდინს მისი უფლებების შესაძლო შეზღუდვის ხანგრძლივობაზე. ამავდროულად, სამართალდამცავ ორგანოებს ავალდებულებს, ძალიან კონკრეტულ დროში მოამზადონ საქმე სასამართლოში წარსადგენად. ბრალდებულად ყოფნის და საპატიმრო ვადების მკაფიოდ ჩამოყალიბება პირდაპირ უკავშირდება სწრაფი მართლმსაჯულების უფლებასაც.

#### 3.1. პატიმრობა

1998 წლის საპროცესო კოდექსში პატიმრობის მომწესრიგებელი ნორმები ხშირად იცვლებოდა და სხვადასხვა დროს პატიმრობის ვადები დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა ტიპის დანაშაულში იყო პირი ეჭვმიტანილი/ბრალდებული, რომელი სასამართლო განიხილავდა საქმეს, ან/და დააბრუნებდა თუ არა სასამართლო საქმეს წინასწარ გამოძიებაში.<sup>80</sup> სისხლის სამართლის ახალმა საპროცესო კოდექსმა და კონსტიტუციაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, აღნიშნული საკითხი უფრო ნათლად მოაწესრიგა და პატიმრობის მაქსიმალურ ვადად იმპერატიულად 9 თვე განსაზღვრა, რომლის

80. 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-162 მუხლები.



ამონურვის შემთხვევაშიც, პირი ავტომატურად უნდა გათავისუფლდეს.<sup>81</sup> 9-თვიანი ვადის გაგრძელების საშუალებას კანონმდებლობა არ იძლევა თუნდაც დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) არსებობის შემთხვევაში.<sup>82</sup>

აგრეთვე ახლებურად ჩამოყალიბდა ამ ღონისძიების გამოყენების საფუძვლებიც. 1998 წლის საპროცესო კოდექსი პატიმრობის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევდა, რომ პირი ისეთი დანაშაულისთვის ყოფილიყო ბრალდებული, რომელზეც სასჯელის სახით მინიმუმ ორი წლით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული, ან თუკი პირი დაარღვევდა სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების პირობებს.<sup>83</sup> მოქმედი საპროცესო კოდექსი კი პატიმრობის გამოყენებას უშვებს მხოლოდ შემდეგი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად:

- ა) ბრალდებულის მიმალვა, ან მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა;
- ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლა;
- გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

აღნიშნული გარემოებები უნდა დადასტურდეს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით და ამავდროულად, პროკურატურამ უნდა დაამტკიცოს, რომ მათი თავიდან აცილება შეუძლებელია სხვა საშუალებით.<sup>84</sup>

პატიმრობის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, 2015 წელს მი-

81. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

82. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 87-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

83. 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

84. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი.



ლებული გადაწყვეტილებით<sup>85</sup>, საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ უფრო განამტკიცა ბრალდებულის უფლებების დაცვის სტანდარტი. კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად,<sup>86</sup> წინასწარი პატიმრობის 9 თვიანი ვადა მოქმედებს პირის დაკავებიდან/დაპატიმრებიდან და ეს ვადა მოქმედებას აგრძელებს მანამ, სანამ პირის მიმართ არ დადგება პირველი ინსტანციის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება. სასამართლომ თავის არგუმენტაციაში მიუთითა, რომ კონსტიტუცია ბრალდებულს იცავს განუსაზღვრელი ვადით წინასწარ პატიმრობაში ყოფნისგან, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ბრალდების მხარის თვითნებობით, ასევე საქმის სასამართლოში განხილვის გაჭიანურებით, ან შეცდომით.<sup>87</sup> შესაბამისად, დადგენილი 9 თვიანი ვადის გადალახვა არაკონსტიტუციურია მაშინაც კი, როცა სახელმწიფო უწყებები ისეთი ლეგიტიმური მიზნებით მოქმედებენ, როგორცაა საქმის სრულყოფილად გამოძიება, სხვა დანაშაულის თავიდან აცილება და სხვა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მთავარი მსჯელობის საგანი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც პირს სხვადასხვა დროს რამდენიმე დანაშაულისთვის აქვს ბრალი წარდგენილი და ის, თუ რამდენად კონსტიტუციურია, თითოეულ ამ დანაშაულზე ცალ-ცალკე 9 თვიანი პატიმრობის გამოყენება. სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც პირს რამდენიმე ბრალდება აქვს წაყენებული, თუნდაც ერთი საქმის ფარგლებში წაყენებული პატიმრობა თანაბრად მოქ-

85. იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaxe-giorgi-ugulava-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg4.page> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

86. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე არსებული რედაქციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი.

87. საკონსტიტუციო სასამართლო, „20 წელი: პრეცედენტული გადაწყვეტილებები“, გვ. 65.

მედებს სხვა პარალელურად მიმდინარე საქმეების ინტერესების-თვისაც.<sup>88</sup> შესაბამისად, „ერთდროულად წარდგენილი რამდენიმე ბრალდების პირობებში ყოველ კონკრეტულ საქმეზე წინასწარი პატიმრობის ზღვრული ვადის განსაზღვრისას ბრალდებულ პირს უნდა ჩაეთვალოს ის პერიოდი, რომელიც მან ბრალის წარდგენის შემდეგ, თუნდაც სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გაატარა წინასწარ პატიმრობაში. შესაბამისად, დაუშვებელია კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება იმ მომენტიდან, რომდესაც ამ საქმეზე ბრალის წაყენების შემდეგ მის მიერ წინასწარ პატიმრობაში გატარებული ვადა (ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე) გაუტოლდება 9 თვეს“.<sup>89</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თავისთავად არაკონსტიტუციური არაა ისეთი შემთხვევები, როდესაც პირს ახალი პატიმრობა შეეფარდება მას შემდეგ, რაც სხვა დანაშაულზე უკვე ჰქონდა პატიმრობა შეფარდებული (ხელახალი პატიმრობა შესაძლებელია პირს შეეფარდოს როგორც ახლად ჩადენილი დანაშაულისთვის, ისე პირველი პატიმრობის შეფარდებამდე ჩადენილი ქმედებისთვის, რომლის შესახებაც მოგვიანებით გახდა ცნობილი). თუმცა, სასამართლომ მიუთითა, რომ კონსტიტუცია დაუშვებლად მიიჩნევს პატიმრობის ვადის გასაგრძელებლად საქმეების ხელოვნურად დანაწევრებას, ან ბრალის წაყენების გაჭიანურებას, როცა ახალი სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძვლები უკვე ცნობილი იყო შესაბამისი ორგანოებისთვის.

შეჯამებისთვის, სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ დროისათვის მოქ-

88.

89. საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილების 34-ე პარაგრაფი.

მედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა<sup>90</sup> არ გამოორიცხავდა პროკურატურის მხრიდან იმგვარი მანიპულაციის შესალებლობას, რომლითაც პირი, შესაძლოა, პატიმრობაში დარჩენილიყო მას შემდეგაც, რაც მისი კონკრეტულ საქმეში ბრალდებულად ცნობიდან 9 თვე გავიდა და მთელი ეს პერიოდი იგი პატიმრობაში იყო (ოღონდ სხვა საქმეებზე შეფარდებული პატიმრობის ფარგლებში).

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საპროცესო კოდექსის ის ჩანაწერი (205-ე მუხლის მეორე ნაწილის ნორმატიული შინაარსი), რომელიც უშვებდა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას, თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების (ან ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის) შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული ჰქონდა 9 თვე მის მიმართ მიმდინარე სხვა ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში.

იმავე საქმეში, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა პატიმრობის კანონიერების გადასინჯვის იმ დროისათვის მოქმედი წესების კონსტიტუციურობას. კერძოდ, საპროცესო კოდექსის იმ ჩანაწერს, რომელიც დაცვის მხარეს ავალდებულებდა, შესაბამისი მტკიცებულების წარდგენის გზით დაესაბუთებინა ისეთი ახალი გარემოების არსებობის თაობაზე, რაც მანამდე არ იყო ცნობილი და რომელიც პატიმრობის გამოყენების უსაფუძვლობაზე მიუთითებდა.<sup>91</sup> მოსარჩელის პოზიციით, აღნიშნული ჩანაწერი პატიმრობის გამოყენების თაობაზე მტკიცების ტვირთს აკისრებდა დაცვის მხარეს, რაც ზღუდავდა კონსტიტუციით გარანტირებულ დაცვის უფლებას.

90. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2015 წლის 15 სექტემბრამდე არსებული რედაქციის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

91. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2015 წლის 8 ივლისამდე არსებული რედაქციის 206 მუხლის მე-8 ნაწილის მე-3 წინადადება.

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში, საპროცესო კოდექსის განხორციელებული ცვლილებების<sup>92</sup> შედეგად, აღნიშნული საკითხი ახლებურად მოწესრიგდა. კერძოდ, სავალდებულოდ განისაზღვრა, რომ მოსამართლემ (როგორც წინასასამართლო სხდომის ეტაპზე, ისე არსებითი განხილვისას) ყოველ ორ თვეში ერთხელ, ავტომატურ რეჟიმში, საკუთარი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი, რადროსაც მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს აკისრია.<sup>93</sup> შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ნაწილში აღარ გააგრძელა სამართალწარმოება. რაც შეეხება კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს, აღნიშნულით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბრალდებულის დაცვის გარანტიები, რომ დაუსაბუთებლად არ აღმოჩნდეს წინასწარ პატიმრობაში.

### 3.2. პირის ბრალდებულად ყოფნის ვადა

2009 წლის საპროცესო კოდექსმა გააუქმა მანამდე არსებული ეჭვიმტანილის და განსასჯელის სტატუსები და საქმისწარმოების მთლიან ეტაპზე მხოლოდ ერთი - ბრალდებულის სტატუსი დატოვა. აგრეთვე, ახლებურად მოწესრიგდა პირის ბრალდებულად ყოფნის ვადები. ამ შემთხვევაშიც, იმპერატიულად განისაზღვრა, რომ „დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე პირი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არა უმეტეს 9 თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო არ წაუყენებიათ ახალი ბრალი...“.<sup>94</sup> 9 თვია-

92. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ 2015 წლის 8 ივლისის კანონი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2912924?publication=0#DOCUMENT:1> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

93. იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და 2301 მუხლი.

94. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

ნი ვადის გასვლისთანავე, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს და დაუშვებელია, ამ დანაშაულზე მისთვის იმავე ბრალის წაყენება. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, პირი ბრალდებულად ითვლება დაკავების, ან ბრალის წაყენების-თანავე<sup>95</sup> და აუცილებელია, რომ ამ მომენტიდან 9 თვის ვადაში დაიწყოს აღნიშნულ საქმეზე წინასასამართლო განხილვა.

აღსანიშნავია, რომ ბრალდებულად ყოფნის 9 თვიანი ვადა სავალდებულოა ნებისმიერ ვითარებაში, მათ შორის ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც პირი მიმალვაშია და არ ცხადდება სამართალდამცავ, ან სასამართლო ორგანოებში. საქმე იმაშია, რომ მოქმედმა საპროცესო კოდექსმა შესაძლებელი გახადა პირის „დაუსწრებლად“ სისხლის საქმისწაროების განხორციელება, თუკი ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. ასეთ დროს სავალდებულოა, საქმის განხილვაში ბრალდებულის ადვოკატი მონაწილეობდეს.<sup>96</sup> შესაბამისად, ნებისმიერ საქმეზე, სამართალდამცავ ორგანოებს ვვალუბათ, პირის ბრალდებულად ცნობიდან 9 თვის ვადაში საქმე მომზადებული ჰქონდეთ სასამართლოში განსახილველად.

თავდაპირველად, ბრალდებულად ყოფნის 9 თვიანი ვადა არ ვრცელდებოდა იმ საქმეებზე, რომლებზეც სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული იყო ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე (ანუ 2010 წლის 1 ოქტომბრამდე). თუმცა, 2014 წელს, აღნიშნულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა<sup>97</sup> და არაკონსტიტუციურად ცნო საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომ-

95. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე და 170-ე მუხლები.

96. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის პირველი ნაწილი.

97. საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის #1/4/557,571,576 გადანწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვალერი გელახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ხელმისაწვდომია: <http://const-court.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-mogalaqeebi-valerian-gelbaxiani-mamuka-nikolaishvili-da-aleqsandre-silagadze-saqartvelos-parlamentis-winaagmdg-872.page> [წვდომის თარიღი: 13.11.2019].

ლებიც შესაძლებელს ხდიდა, კოდექსის ამოქმედებამდე და ამოქმედების შემდგომ ბრალდებულად ცნობილი პირების საქმეებზე განსხვავებული წესებით მომხდარიყო წინასასამართლო სხდომამდე ბრალდებულად ყოფნის მაქსიმალური ვადის გამოანგარიშება.

სასამართლომ განმარტა, რომ საკანონმდებლო რეალობა მნიშვნელოვნად განსხვავებულ შედეგებს აყენებდა იმ პირთა მიმართ, რომელთა იდენტური საპროცესო მდგომარეობა მხოლოდ ბრალდების წარდგენის მომენტით განსხვავდებოდა. კერძოდ, მაშინ როდესაც, ახალი კოდექსით ბრალდებულებისათვის არსებობს მკაცრად განსაზღვრული 9 თვიანი ვადა, 1998 წლის კოდექსით ბრალდებულების მიმართ დევნა შესაძლოა ჰიპოთეტურად გაგრძელებულიყო განუსაზღვრელი ვადით. აღნიშნული დიფერენცირება სასამართლომ კონსტიტუციით გარანტირებული თანასწორობის უფლების<sup>98</sup> შემლახველად მიიჩნია.

#### 4. მოსამართლის როლი და ნაფიცი მსაჯულები

2009 წლის საპროცესო კოდექსმა პრინციპულად ახლებურად განსაზღვრა მოსამართლის როლი სისხლის სამართლის პროცესში. თუკი მანამდე, მოსამართლეს უფრო აქტიური, ინკვიზიციური პროცესისთვის მახასიათებელი როლი ჰქონდა, რა დროსაც მას შეეძლო დამატებით მტკიცებულების გამოთხოვა, საქმის გამოძიებაში დაბრუნება, შეკითხვების დასმა მოწმეებისათვის, ახალმა საპროცესო კოდექსმა მოსამართლეს ნეიტრალური არბიტრის ფუნქცია მიანიჭა და ყველა ზემოაღნიშნული უფლებამოსილება შეუზღუდა.

შესაბამისად, კონკრეტული საპროცესო/საგამოძიებო ღონისძიებე-

98. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე არსებული რედაქციის მე-14 მუხლი.

ბის განსახორციელებლად, მოსამართლე, როგორც წესი, დამოკიდებულია მხარეთა მიერ შუამდგომლობის დაყენებაზე და მისი ძირითადი კომპეტენციაა, მკაცრად გააკონტროლოს, რამდენად ახერხებენ დაცვის და ბრალდების მხარეები კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტის დაცვას.

მოქმედი საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ მთავარ სიახლეს ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს დანერგვა წარმოადგენდა. კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღების უმთავრესი მიზანი მართლმსაჯულების პროცესში მოქალაქეთა პირდაპირი და დემოკრატიული მონაწილეობის გაზრდაა.<sup>99</sup> საპროცესო კოდექსმა ნაფიცი მსაჯულების ე.წ. ანგლო-საქსური მოდელი შემოგვთავაზა, რომლის მიხედვითაც, მსაჯულების მიმართ შეკითხვების დასმის უფლება მხარეებს არ აქვთ და მსაჯულთან კოლეგიას წარედგინება ვერდიქტის ფორმები (გამამტყუნებელი და გამამართლებელი) კონკრეტული ბრალდების თაობაზე.<sup>100</sup>

აღსანიშნავია, რომ ნაფიც მსაჯულებს, ან სხდომის თავმჯდომარეს, არ ევალებათ მსაჯულების მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთება. ამავდროულად, გამამართლებელი ვერდიქტი საბოლოოა და არ საჩივრდება.<sup>101</sup> რაც შეეხება გამამტყუნებელ ვერდიქტს, მისი გასაჩივრება საკასაციო წესით არის შესაძლებელი, თუკი სხდომის მოსამართლემ: ა) მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო; ბ) მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვისას უკანონო გადაწყვეტილე-

99. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტი N07-2/218/6, განმარტებითი ბარათი.

100. საქართველოს ადამიანის უფლებათ ქსელი, „ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში“, 2016 წ. გვ. 32.

101. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის პირველი ნაწილი.



ბა მიიღო, რითაც არსებითად დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი; გ) ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლის წინ განმარტებების მიცემისას არსებითი შეცდომა დაუშვა და სხვა.<sup>102</sup> ამავედროულად, კანონმდებლობა ბრალდებულის უფლებების უკეთ დაცვის მიზნით, სხდომის თავმჯდომარეს აძლევს ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმების შესაძლებლობას, თუკი „აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა“.<sup>103</sup>

მოქმედი საპროცესო კოდექსის თავდაპირველი რედაქცია, საქმის განხილვას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ ყველა იმ ტიპის დანაშაულზე ავრცელებდა, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას. გამონაკლისი იყო შემთხვევები, როდესაც ორივე მხარე (ბრალდების და დაცვის) ერთობლივად შუამდგომლობდნენ საქმის ნაფიცი მსაჯულების გარეშე განხილვის თაობაზე.<sup>104</sup> თუმცა, კოდექსის გარდამავალი დებულებებით აღნიშნული ჩანაწერი რამდენჯერმე გადავადდა და ამ დროში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განჯსადობა შეზღუდული იყო ხოლმე როგორც გეოგრაფიული, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით (მაგალითად, თავდაპირველად, ნაფიცი მსაჯულების განჯსადობას ექვემდებარებოდა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიული განჯსადობისთვის მიკუთვნებული, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (მხოლოდ დამთავრებულის) სისხლის სამართლის საქმეები).

102. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

103. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

104. იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2011 წლის 28 ოქტომბრამდე არსებული რედაქციის 226-ე მუხლის პირველი ნაწილი.



დღეის მდგომარეობით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, თუმცა არა ყველა დანაშაულზე, არამედ კონკრეტული ტიპის, მძიმე დანაშაულებზე.<sup>105</sup> ამავდროულად, ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს, რომ მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე იქნეს განხილული და ამ შემთხვევაში, საქმეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე განიხილავს.

ნაფიც მსაჯულებთან დაკავშირებით კანონმდებლობა კიდევ ერთ შემზღუდვას ითვალისწინებდა. კერძოდ, საპროცესო კოდექსის გარდამავალი დებულებებით<sup>106</sup> დგინდებოდა ნაფიცი მსაჯულების განსჯადობის დროითი შემზღუდვა. კერძოდ, თუკი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული იყო ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე (2010 წლის 1 ოქტომბრამდე), მის მიმართ საქმეს ვერ განიხილავდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. აღნიშნულ საკითხზე 2014 წლის გადაწყვეტილებაში<sup>107</sup> იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლომ და დაადგინა, რომ აღნიშნული რეგულაცია ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციით გარანტირებულ თანასწორობის<sup>108</sup> და სამართლიანი სასამართლოს უფლებებს

105. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქმეს განიხილავს, თუ წარდგენილია ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (დამთავრებული) და 109-ე (დამთავრებული) მუხლებით, 117-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-6 და მე-8 ნაწილებით, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 1351 მუხლით, 143-ე მუხლის მე-2–მე-4 ნაწილებით, 144-ე–1442 მუხლებით, 1443 მუხლის მე-2 ნაწილით, 146-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 147-ე და 149-ე მუხლებით, 197-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 198-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 229-ე მუხლით.

106. იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2014 წლის 13 ნოემბრამდე მოქმედი რედაქციის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

107. საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის #1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვალერი გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

108. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე არსებული რედაქციის მე-14 მუხლი.

(ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს).<sup>109</sup>

ნაფიც მსაჯულთა ქართულ მოდელთან დაკავშირებით, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) და ევროპის საბჭოს (Council of Europe) 2014 წლის ერთობლივ მოსაზრებებში პრობლემურად არის დანახული ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დაუსაბუთებლობა და მსაჯულების მონაწილეობა სასჯელის განსაზღვრისას.<sup>110</sup> დოკუმენტში რეკომენდაციის სახით არის შემოთავაზებული, რომ სასჯელის განსაზღვრისას, შემცირდეს ნაფიც მსაჯულთა ჩართულობა და პირიქით, ამ პროცესში უფრო აქტიურად იყოს ჩართული სხდომის თავმჯდომარე მოსამართლე.<sup>111</sup>

ახალი საპროცესო კოდექსით შემოთავაზებული სასამართლოს როლი ხშირად იწვევდა კითხვის ნიშნებს პრაქტიკოს და თეორეტიკოს იურისტებში. კერძოდ, ხომ არ აკნინებს მოსამართლის პრესტიჟს ე.წ. ნეიტრალური არბიტრის სტატუსი. ამ მხრივ, განსაკუთრებული კრიტიკის საგანი ხდებოდა ხოლმე მოსამართლის მიმართ არსებული შეზღუდვა მონმისათვის შეკითხვის დასმასთან დაკავშირებით.<sup>112</sup> თუმცა, არასწორი იქნება მსჯელობა, რომ 2009 წლის საპროცესო კოდექსი უფრო ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოსამართლის როლს სისხლის სამართალწარმოე-

109. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე არსებული რედაქციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი.

110. საქართველოს ადამიანის უფლებათ ქსელი, „ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში“, 2016 წ. გვ. 11.

111. Joint Opinion on The Criminal Code of Georgia, OSCE/ODIHR and Council of Europe, Opinion-Nr.: CRIM -GEO/257/2014 [RJU], Warsaw/Strasbourg, 22 August 2014, § 27, 28.

112. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოსამართლეს მხოლოდ მხარეთა თანხმობით შეუძლია მონმისთვის დამაზუსტებელი შეკითხვის დასმა.

ბის პროცესში. შეჯიბრებითი პროცესუალური მოდელის პირობებში, მოსამართლის ნეიტრალური არბიტრის სტატუსი ლოგიკური და აუცილებელიც კია, რათა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგეს მისი მიუკერძოებლობა. ამავდროულად, სასამართლოს ნეგატიურად შეუძლია გააკონტროლოს ორივე მხარის ქმედებები და მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცეს მათ კონკრეტული საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედების განხორციელების უფლება, თუკი ამისათვის საჭირო მტკიცებულებითი და სამართლებრივი სტანდარტი არსებობს. მოსამართლე, აგრეთვე, მეტად აქტიურია ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის მიერ განხილულ საქმეებში, სადაც სწორედ იგი იძლევა სამართლებრივ საკითხებზე განმარტებებს.<sup>113</sup>

---

113. იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი.

## შეჯამება

დაახლოებით ათი წლის წინ, ქართულმა სახელმწიფომ მნიშვნელოვანი არჩევანი გააკეთა და ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შევიბრებიითი მოდელს დააფუძნა. აღნიშნული არჩევანი რამდენიმე მიზანს ემსახურებოდა, თუმცა უმთავრესი მართლმსაჯულებისადმი და კონკრეტულად პროცესის მონაწილეების მიმართ რიგითი მოქალაქეების ნდობის გაზრდა იყო. სამწუხაროდ, დეკადის გასვლის მიუხედავად, ეს არჩევანი, ისევე როგორც საპროცესო კოდექსის ზოგადი სულისკვეთება, კვლავაც არაა სრულყოფილად ასახული ყოველდღიურ პრაქტიკაში. დღემდე, შევიბრებიითი მოდელი შეზღუდული მასშტაბით მოქმედებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებისას.

შევიბრებიითი მოდელისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ელემენტები დღესაც კი ან ფრაგმენტულად მოქმედებს (მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო), ან უკვე არსებითად იცვალა სახე და ეწინააღმდეგება აღნიშნული მოდელის ზოგად ლოგიკას (მაგალითად, მოწმის დაკითხვის წესი). შესაბამისად, საპროცესო კოდექსის გაცხადებული მიზნები კვლავაც მიუღწეველია და შეიძლება ითქვას, რომ 10 წლის წინანდელი გამოწვევები, შესაძლოა განსხვავებული ინტენსივობით, მაგრამ დღესაც არსებობს.

ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს მხარეთა თანასწორობა მტკიცებულებების მოპოვების ნაწილში და დღემდე არ არსებობს სწორი ბალანსი ბრალდებულის და პროკურორის საგამოძიებო უფლებამოსილებებს შორის. დაცვის მხარეს კვლავაც არაერთი

ბარიერი აქვს საქმის დამოუკიდებლად და სრულყოფილად წარმოების კუთხით, რაც მთლიანად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს შეჯიბრებითი მოდელის რეალურობას.

წარმოდგენილ დოკუმენტში მოკლედ არის მიმოხილული უკანასკნელ 10 წელიწადში საპროცესო კოდექსთან დაკავშირებული მასშტაბური პრობლემები, მათი მნიშვნელობა და გავლენა როგორც სამართალწარმოების ხარისხზე, ისე ინდივიდების უფლებებზე. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ბოლო წლებში არაერთი ცვლილება განხორციელდა, არსებული ნორმატიული ჩარჩო კვლავაც საჭიროებს მნიშვნელოვან დახვეწას და ერთიან ლოგიკაში მოქცევას. ამ ფონზე, აღნიშნული დოკუმენტი ერთგვარი შეხსენებაა სახელმწიფო უწყებების და დაინტერესებული პირებისათვის, თუ რა გზა გამოიარა საპროცესო კოდექსმა მიღებიდან დღემდე და რა ძირითადი გამოწვევები აქვს ამ საკანონმდებლო აქტს, რათა სრულყოფილად მიაღწიოს თავდაპირველად დასახულ მიზნებს.